გილოცავთ შობა-ახალი წლის შემობრძანებას!

# ბორჯომი

1 იანვარი კვირა
2023 წელი
№1-2 (9264)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

## ბაკურიანი მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადება

**პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის** ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციის სამუშაო შეხვედრა გაიმართა ბაკურიანში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე განიხილეს ჩემპიონატის საორგანიზაციო და მოსამზადებელი საკითხები. აღინიშნა, რომ ბაკურიანში მოეწყო მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა, რათა კურორტი სრულ მზადყოფნაში იყოს მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის.

ამ დროისთვის უკვე დარეგისტრირებულია 2000-მდე საერთაშორისო



სტუმარი, რომელიც ბაკურიანში 42 ქვეყნიდან ჩამოვა. ჩემპიონატის მსვლელობის პარალელურად, მთავრობის ორგანიზებით, მუდმივ რეჟიმში გაიმართება გასართობი ღონისძიებები.

მსოფლიო ჩემპიონატი ბაკურიანში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, მთის ტრასების სააგენტოსა და საქართველოს სათხილამურო ფედერაციის ორგანიზებით ტარდება. ჩემპიონატი 2023 წლის 16 თებერვლიდან - 5 მარტის ჩათვლით, საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით გაიმართება.

მსოფლიო ჩემპიონატზე ჩატარდება 30 შეჯიბრი 7 სახეობაში.

მსოფლიო ჩემპიონატის პროექტის ფარგლებში ბაკურიანში აშენდა სამი ახალი საბაგირო, 29 კილომეტრიანი ხელოვნური გათოვლიანების სისტემები, წყლის ორი ხელოვნური რეზერვუარი, ჯამში 307 000 კუბური მეტრი, 6 ახალი საშეჯიბრო ტრასა, შეძენილ იქნა სპეციალური ტექნიკა, უსაფრთხოების ინვენტარი. განხორციელდა დაახლოებით 300 მილიონ ლარამდე ინვესტიცია.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **თეა წულუკიანი,** კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე **იოსებ ბაღათურია,** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **ლევან დავითაშვილი,** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე **მარიამ ქვრივიშვილი,** საქართველოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი **ნინო გიორგობიანი,** მთის ტრასების სააგენტოს დირექტორი **ირაკლი ბურჭულაძე,** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი **ლერი ბარნაბიშვილი,** ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე **ეკატერინე ორჯონიკიძე** და საქართველოს სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტი **ზურაბ კოსტავა** ესწრებოდნენ.

## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!



ძვირფასო ბორჯომელებო!

მინდა, ყველას გისურვოთ ჯანმრთელობა, წინსვლა, წარმატება.

მშვიდობისა და აღმავლობის წელი ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნისათვის!

2023 წელი თითოეული თქვენგანისთვის, თქვენი ოჯახებისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, ყოფილიყოს სასიკეთოდ გარდამტეხი.

**ზვიად ამირანაშვილი,**
სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი სამცხე-ჯავახეთის მხარეში.

## მშვიდობა და ბედნიერება დაგბედებოდეთ!



ჩემო ძვირფასო ბორჯომელებო,

მინდა, მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი თქვენ და თითოეულ ჩვენს თანამემამულეს-საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ.

ვულოცავ ექიმებს, პოლიციელებს, მასწავლებლებს, ბავშვებს, რომლებსაც განსაკუთრებულად უხარიათ ახალი წლის დადგომა, საჯარო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს, ყველას, ვინც თავდაუზოგავად და დაუღალავად შრომობს ქვეყნის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის.

2023 წელს, რა თქმა უნდა, თითოეული ბორჯომელისა და ცენტრალური ხელისუფლების თანადგომით შევძლებთ ჩვენმა მუნიციპალიტეტმა (რომელიც დიდი პოტენციალის მქონეა) ღირსეული ადგილი დაიკავოს საქართველოს რუკაზე: კულტურული, ეკონომიკური, სოციალური, ტურისტული და ინფრასტრუქტურული პროექტების, პროგრამების მოზიდვისა და განხორციელების საქმეში.

ყველა ადამიანი განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება ახალ წელს. იგი უნდა იყოს თქვენი სურვილების და მიზნების შესრულების წელი.

შობა და ახალი წელი - ეს ის დღეებია, როდესაც ყველა ივიწყებს დროებით დარდს, ტკივილს და თბილი გულით ხვდება ახალს. ახალი წელი ხომ ძველის დავიწყების და ახლის შემობრძანების სიმბოლოა.

ვიმედოვნებ, რომ ახალი წელი კიდევ უფრო მეტად საქმიანი, წარმატებული და სასიკეთო იქნება.

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

კეთილი სურვილებით, სიყვარულით და პატივისცემით,

**ოთარ არბოლიშვილი,**
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი

## ბედნიერება და სიკეთე დაგბედებოდეთ!



დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ ძვირფასო ბორჯომელებო! მომავალი 2023 წელი ყოფილიყოს წინსვლის, ბედნიერების, ჯანმრთელობის, დოვლათის და ბარაქის მომტანი. ჩვენს ლამაზ ქალაქ ბორჯომს და სრულიად საქართველოს მინდა ვუსურვო მშვიდობა, რაც დღეს ძალიან მნიშვნელოვანია. ბორჯომი, როგორც მარგალიტი, ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი უნიკალურობით მთელს რეგიონში, ამიტომ ჩვენი მიზანი და პრიორიტეტიც სწორედ მისი განვითარებაა, რისთვისაც თითოეული მოქალაქის უდიდესი მონდომება და ძალისხმევაა საჭირო. მინდა მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ ბორჯომელს თანადგომისა და მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისთვის! დაე, ეს შობა-ახალი წელი ოცნებების ასრულების, საქართველოს ერთიანობის და დიდი სიხარულის მომტანი ყოფილიყოს.

ღმერთი იყოს ჩვენი ქალაქის და სრულიად საქართველოს მფარველი!

**ანტონ ობოლაშვილი,**
ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში

## წინსვლა კიდევ უფრო ეფექტური იქნება



პატივცემულო ბორჯომელებო! გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! მშვიდობის, კეთილდღეობისა და კიდევ უფრო მეტი განვითარების მომტანი ყოფილიყოს 2023 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

ახალ წელს ოცნებების ასრულების იმედით ვხვდებით და ვისურვებდი, რომ ჩვენ - ყველამ ერთად შევძლოთ, ვიფიქროთ მომავალზე, განვითარებაზე, აღმშენებლობაზე, განახლებაზე, ახალი ამბიციური პროექტების განხორციელებაზე.

2022 წელი ჩვენი ქალაქისთვის საკმაოდ ნაყოფიერი იყო. თუმცა, 2023 წელს ბორჯომის ადგილობრივი ხელისუფლება ჩვენი თანაქალაქელების კეთილდღეობისა და წინსვლისთვის კიდევ უფრო ეფექტური პროექტების განხორციელებას გეგმავს.

ჩვენი მიზანია და ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ თითოეულმა ბორჯომელმა იგრძნოს თუ როგორ ზრუნავს ადგილობრივი ხელისუფლება ხალხის კეთილდღეობისათვის და უკეთესი ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებისათვის.

მჯერა, რომ ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით ყველაფერს შევძლებთ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ 2023 წლის შემობრძანებას! ჯანმრთელობას, მშვიდობას, მატერიალურ კეთილდღეობას გისურვებთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

**დავით ზაალიშვილი,**
ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

## საპასუხისმგებლო ამოცანების წინაშე ვართ!



ჩემს ბაკურიანს, ბორჯომს და სრულიად საქართველოს ვულოცავ ახალ 2023 წელს! გისურვებთ ულევ სიხარულს, სიკეთეს, ბედნიერებასა და წარმატებას! დაე, 2023 წელი თითოეული ჩვენგანისთვის ყოფილიყოს მშვიდობის, კეთილდღეობის, წინსვლის და ერთობის! მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე ვგრძნობ უდიდეს პასუხისმგებლობას თავდაუზოგავად ვემსახურო ჩემს ქვეყანას და წვლილი შევიტანო მის განვითარებაში.

**ეკა ორჯონიკიძე,**
ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დირექტორი.

## აინთო საახალწლო ნაძვის ხე



ბორჯომში, მერაბ კოსტავას სახელობის ახლად რეაბილიტირებულ ბაღში, მთავარი ნაძვის ხე საზეიმოდ აინთო, რომელიც მანათობელი ფიგურებით და საახალწლო დეკორაციებით მოირთო.

- ნაძვის ხესთან შეკრებილ მოსახლეობას საშუალება ჰქონდა თვალი ედევნებინა სხვადასხვა გასართობი ღონისძიებისთვის.

სახალხო ზეიმი 5 იანვარს გაიმართება.

## დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

2022 წლის 23 დეკემბერს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი.**

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს მერიის მიერ წარმოდგენილ ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტს და ერთსულოვნად დაამტკიცეს.;

ასევე დამტკიცდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის 2023 წლის სოციალური დახმარების პროგრამების და ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების 2023 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესი.

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №8 დადგენილებაში. ცვლილებები შევიდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 2 მარტის №4 დადგენილებაში და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №36 დადგენილებაში;

დეპუტატებმა დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესი და ბორჯომის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა.

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის №16 დადგენილებაში;

დაძალადაკარგულად გამოცხადდა „ქალაქ ბორჯომში გარე ვაჭრობის აკრძალვის შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 აპრილის №39 განკარგულება;

განისაზღვრა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 (ხუთი) პროცენტზე მეტი ღირებულების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების შესახებ.

ცვლილებები შეიტანეს „სამგზავრო გადაყვანის ტარიფის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 იანვრის №2 განკარგულებაში.

დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის I კვარტალის სამუშაო გეგმა.

ტექნიკური ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის განკარგულებებში.

# 2022 წლის მონაგარი

**ბორჯომის 2022 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 41267131 ლარით, დაგეგმილი ბიუჯეტის თითქმის ნახევარი 18423508 ლარი გათვალისწინებული იყო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ხოლო სოფლის მხარდამჭერი პროგრამის განხორციელებისათვის დაიხარჯა 840 ათასი ლარი.**

## სოციალური სფერო

**2022 წლის** თერთმეტ თვეში სტაციონარული მომსახურება გაეწია 1147 ბენეფიციარს, რისთვისაც მერიამ 950604 ლარი დახარჯა; ამავე პერიოდში მედიკამენტოზური დახმარება გაეწია 734 მოქალაქეს, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 114308 ლარს;

**განვლილი** ერთი წლის მანძილზე ორკოლოგიური მკურნალობისათვის 283197 ლარის დახმარება აღმოუჩინეს.

**85 შეზღუდული** შესაძლებლობის პირს 96700 ლარი გამოეყო.

**100 მრავალშვილიან** ოჯახზე 187750 ლარის დახმარება გაიცა, ხოლო 48 ახლადდაბადებულ ოჯახს 14400 ლარი გამოეყო.

**115 ახალშობილის ოჯახს** 38850 ლარი გადასცეს.

**30 მარტოხელა** დედამ მთელი წლის მანძილზე დახმარების სახით 32200 ლარი მიიღო;

**კომუნალური** დაფინანსების მიზნით მერიამ საშუალოდ წლის მანძილზე 170 პირს 48780 ლარი გამოყო.

**გარდა** ამ დახმარებისა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა 27 პროექტს აფინანსებს, მათ შორის ერთჯერადი დახმარებები გაიცა საერო და რელიგიური დღესასწაულების დღეებშიც.



**ცვლილებაა** ახალდაბადებულ ბავშვებში, ყოველ ახალ დაბადებულზე გაიცემა 1000 ლარი, ტყუპის შემთხვევაში 2000 ლარი, რაც გავლენას იქონიებს დემოგრაფიულ მდგომარეობის გაჯანსაღებაზე.

**დახმარება** გაეზარდათ ოთხიდან მეტ შვილიან ოჯახებს. ყველა ოჯახს გასაცემი თანხა გაეზარდათ 50 ლარით.

**ცვლილებაა** მედიკამენტების დაფინანსებაში. საპენსიო ასაკის სოციალურად დაუცველი იმ ბენეფიციარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 65000-ს და დახმარება გაეწევათ 200 ლარის ოდენობით ერთჯერად მედიკამენტების შესაძენად.

**2023 წლის** მუნიციპალური ბიუჯეტით გათვალისწინებულია 18 წლამდე ასაკის საკურორტო მომსახურეობა.

**ფინანსური** დახმარება გაეზრდებათ მარტოხელა მშობლებს, აგრეთვე სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ზამთრის სეზონთან დაკავშირებით 200 ლარით.



**სოციალური** დახმარება გაიცემა ყველა მარტოხელა მშობელზე 100 ლარის ოდენობით.

**დაფინანსება** იზრდება აგრეთვე ბავშვთა უფლებების დაცვის მხარდაჭერის პროგრამით, კერძოდ, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვთა დახმარება ნაცვლად 50 ლარისა გახდა 100 ლარი.

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**რეგიონალური** განვითარების ფონდით მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მათ შორისაა:

**სოფელ ბეშეთში** დამთავრდა საავტომობილო გზის მშენებლობის პირველი ეტაპი. ამავე დროს განხორციელდა ვარდგინეთის გზის რეაბილიტაცია.

**ბორჯომში** რუსთაველის ქუჩაზე არსებულ №115 და №109, სააკაძის ქ. №2, №35, დავით აღმაშენებლის ქ. №35 მრავალბინიან საცხოვრებელი სახლების გარე ფასადების რეაბილიტაცია განხორციელდა.

**მუნიციპალიტეტის** მთელ რიგ დაბა-სოფლებში **ყვიბისში** (დარბაიძეების, შუბითიძეების, ხაჩიძეებისა და ციცქიშვილების საუბნო გზების), **ბაკურიანში** სასაფლაოსთან მისასვლელი გზის და კობა წაქაძის ქუჩის პირველი მონაკვეთის რეაბილიტაცია.

სოფელ **ტიმოთესუბანში** დამთარდა ღელის ნაპირსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოები.

**ბორჯომში** რუსთაველის ქუჩაზე სანაპირო ზოლში დამთავრდა სკვერის მოწყობის მეორე ეტაპი.

**მაღალმთიან** სოფელ **მოლითში** მისასვლელი გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დამთარდა.

**სოფლებში სადგერში, ტბაზე, საკირეში** რეაბილიტაცია ჩაუტარდა საუბნო გზებს და ჩიხებს.

**რობაქიძის** ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული მდინარე მტკვრის ნაპირსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოები მომავალ წელსაც გაგრძელდება.

**ადგილობრივი** ბიუჯეტით დაფინანსებულია მრავალი ობიექტის რეაბილიტაცია - მათ შორის:

**საავტომობილო** გზების მიმდინარე შეკეთების და ზამთარში მათი შენახვის სამუშაოები.

**დამთარდა** 300 არაგველის ქუჩის გზისპირა მოაჯირების მოწყობა.

**აკაკი შანიძის** ქ. №24-ის მიმდებარედ დამთავრდა მოსასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშაოები.

**სოფელ** საკირეში დამთავრდა მინისპორტული მოედნის მშენებლობა.

**9 აპრილის** ქუჩის №12-18 სახლების მიმდებარე ჩიხს და ქეთევან წამებულის ქუჩებზე განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე რუსთაველის ქუჩის №109-ის მიმდებარედ მოეწყო კედელი.

**ბორჯომში** არსებულ სანიაღვრეებს, ჭებს და გზების გამყოლ სივრცეებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

**აღმაშენებლის** ქუჩაზე მოეწყო მოაჯირები.

**მინწყლების** ისტორიულ პარკში დაიდგა სავაჭრო ჯიხური „წიგნი". აქვე მოეწყობა საბავშვო ატრაქციონი.

**თორის** ქუჩის №40 მიმდებარედ მოეწყო დამცავი კედელი, ხოლო მესხეთის ქ. №5 სახლის მიმდებარედ დამთავრდა კანალიზაციის მაგისტრალის მშენებლობა.

**რუსთაველის** ქ. №5 და №53 ბინების შენობების მიმდებარედ მოეწყო სკვერი.

**სოფელ ტაძრისის** რიტუალების სახლის მეორე სართულს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

**ბაკურიანში** კობა წაქაძის სახელობის ჩიხში მოეწყო სანიაღვრე არხი.

**გარემონტდა** თორის №69 და რუსთაველის №69 ქუჩების საცხოვრებელი კორპუსების სამგზავრო ლიფტები.

**ბორჯომში** განხორციელდა 6 მრავალბინიანი კორპუსების გადახურვის სამუშაოები.

**რუსთაველის** და მესხეთის ქუჩებზე მოეწყო სპორტული მოედნები.

**საყრდენი** კედლები ჩაისხა ჭობისხევში, საკირეში, დვირში.

გადაიხურა ახალდაბის საჯარო სკოლა.

**დამთარდა** კოსტავას სახელოვის პარკის და მოედნის რეაბილიტაცია.

**დასრულდა** კავალერიის სასტუმროს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**გაეროს** განვითარების პროგრამის ფარგლებში ბორჯომის №3 და დვირიოს საბავშვო ბაღებს ქსელური ტიპის მზის ენერგიის მიწოდების და მონტაჟის სამუშაოები შესრულდა.

## სოფლის მხარდამჭერი პროექტები

**არაერთი სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.**

**ახალდაბაში** შემოიღობა სკვერის ტერიტორია;

**ბაკურიანში** 9 აპრილის ქუჩაზე მოეწყო გარეგანათება;

**ანდეზიტის** დასახლებაში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ამბულატორიის შენობას;

**დიდ მიტარბში** მოიხრეშა შიდა გზები;

**თორში** კეთილმოეწყო შიდა გზები;

**პატარა მიტარბში** რეაბილიტაცია ჩაუტარდა შიდა გზებს;

**წაღვერში** თორის ქუჩაზე რეაბილიტირებულია არსებული ხიდი;

**დაბაში** არსებული ხიდის ბურჯების აღდგენა განხორციელდა;

**ტიმოთესუბანში** მოეწყო დასასვენებელი სივრცე;

**მზეთამზეში** რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასმელი წყლის სისტემას, აქვე კეთილმოეწყო სკვერი;

**ბალანთაში** მოიხრეშა სოფლის შიდა გზები და მოეწყო მგზავრთა მოსაცდელი;

**ჭიხარულაში** მოეწყო სველი წერტილი (სკვერები, ბავშვთა ატრაქციონები).

**დვირში** განხორციელდა სარწყალი სისტემის რეაბილიტაცია, 9 აპრილის ქუჩაზე დამონტაჟდა გარეგანათება;

**ქვაბისხევში** კეთილმოეწყო სპორტული მოედნის მიმდებარე ტერიტორია;

**ჩითახევში** აღადგინეს გარეგანათება;

**ჭობისხევში** განაახლეს გარეგანათება;

**ტაბაწყურში** მოიხრეშა შიდა გზები;

**მოლითში** მოიხრეშა შიდა გზები;

**ტაძრისში, დგვარსა და საკირეში** რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასმელი წყლის სისტემებს;



**სადგერში** შემოიღობა სასაფლაო;

**ლიბანში** კეთილმოეწყო სკვერის ტერიტორია;

**ტბაზე** რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასმელი წყლის სისტემას;

**ცემში** კეთილმოეწყო სასაფლაოსთან მისასვლელი გზა;

**ყვიბისში** სკოლის მიმდებარედ მოეწყო სანიაღვრე არხი;

**ბეშეთში** მოეწყო გზის გამყოლი საყრდენი კედელი;

**ვარდგინეთში** მოეწყო ფეხით სავალი ნაწილის გამოყოფა მოაჯირით, მოეწყო სპორტული მოედანი;

**ზანავში** კეთილმოეწყო სკვერის ტერიტორია;

**კორტანეთში** რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასაფლაოსთან მისასვლელ გზას;

**რველში** მოწესრიგდა გზები და მოსაცდელები, სკვერის ტერიტორიაზე მოეწყო ატრაქციონი;

**ციხისჯვარში** მოიხრეშა შიდა გზები;

---

### საახალწლო გამოკითხვა

# ბაკურიანის ფერისცვალება სახეზეა!

**მართალია ბაკურიანში თოვლი აქა-იქ დევს და ისიც მცირე, თუმცა კურორტზე დამსვენებლები უკვე გამოჩნდნენ, ასევე იმყოფებიან სხვადასხვა სპორტული ჯგუფები საწვრთნელ-გამაჯანსაღებელ შეკრებაზე, რომლებიც წრიულ გზაზე სავარჯიშოდ დილა-საღამოს ვარჯიშობენ.**

**ნათქვამია, თვალით ნანახს არაფერი სჯობსო და მეც ე.წ. 25-იანებს ვესტუმრე, ანუ იმ ძირითად ხერხემალს, სადაც დამსვენებლები იყრიან თავს.**

**ორი საბაგირო გზა ჩართული იყო და კანტიკუნტად მყოფი დამსვენებლები თავისებურად ერთობოდნენ. ზოგი ციგით, ზოგი კი თხილამურებით სრიალებდა.**

**კითხვაზე, თუ, რა სიახლე დახვდათ კურორტზე, პასუხის უმრავლესობა ასეთი გახლდათ. წლიდან-წლამდე ბევრი ახალი შენობა ხვდებათ. ბაკურიანში შემოსვლისთანავე შეამჩნიეს ღობეების ახალი, ერთნაირი ფასადები. თანამედროვე საპირფარეშოც შენიშნეს 25-იანზე, თუმცა სხვა ჯერჯერობით ისეთი არაფერი შეგვინიშნავსო, – განაცხადეს მათ.**

**22 დეკემბერს, აქ მიმდინარეობდა ზამთრის საკურორტო სეზონისათვის მზადების პროცესი... არსებული ნაძვის ხეც მოსართავად იყო გამზადებული. წრიულზე კი შესაბამისი სამსახურები საახალწლო გარე განათებებს ამონტაჟებდნენ...**

**რით იყო მნიშვნელოვანი 2022 წელი? ამ კითხვით მივმართე რეზერვისტებს.**

**ლეილა ხეცურიანი: –** ჩემი ოჯახისთვის 2022 წელი მართლაც მნიშვნელოვანი იყო. ჩემმა შვილმა ამერიკის საელჩოდან დაფინანსება მოიპოვა და ცოდნის შემდგომი ამაღლებისთვის სასწავლებლად გაემგზავრა ქ. მონიაპოლისში (მინესოტას შტატი). მადლობა აშშ-ს ამისთვის.

რაც შეეხება ბაკურიანს, ჩემი თვალსაზრისით ისაა, რომ ბაკურიანის შემოსასვლელმა ცენტრალური ქუჩების ჩათვლით სახე იცვალა, მომწონს. თვალში საცემია ასევე პარკი, სადაც რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ყველას ვულოცავ დამდეგ ახალ 2023 წელს. ვისურვებდი მშვიდობას, ქვეყნის გამთლიანებას და ჩვენი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას.

**მზია ქარქოზაშვილი: –** სააგენტოს ხელმძღვანელის ქალბატონ **ეკა ორჯონიკიძის** ძალისხმევით ბაკურიანში ძვრები ნამდვილად იგრძნობა. ჯერ მარტო მაღაზიების ფასადები რად ღირს. უსახური ჯიხურები დამშვენდა, ის რომ გარევაჭრობა წესრიგდება, ის რომ მსხვილფეხა პირუტყვმა ქუჩაში და სკვერებში არ უნდა იხეტიალოს, ეს დიდი მიღწევაა. ირგვება მწვანე ნარგავებიც. იმედია, კიდევ ბევრი რამ გაკეთდება. ჩემი შვილიც დასაქმდა სააგენტოში და ცხადია, კმაყოფილი ვარ.

**მედეა მეტრეველი:** - 2022 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს პირველი ნაბიჯები იყო, რომელიც ჩვენი კურორტის იერსახის განახლება-გალამაზების საწინდარად იქცა. ის, რომ მიტარბსა და დიდველში ახალი ტრასები, საბაგიროები, წყალსაცავები (ხელოვნური ტბები) აშენდა, ესეც ნიშანდობლივია კურორტის როგორც სპორტული, ასევე ტურისტული თვალსაზრისით.

**კახა ვახტანგიშვილი:** - 2022 წელი? 9 აპრილის ქუჩის გაგრძელებაზე წრიულამდე გარეგანათება გაკეთდა. მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ ევროპის ჩემპიონატს ვუმასპინძლეთ. „განახლებული რეგიონების" პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ღობეების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ვიცი, რომ 2023 წელს ბევრი კარგი პროექტი იგეგმება და რაც მთავარია, მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები ვიქნებით, რისთვისაც მომზადდა ახალი სათხილამურო ტრასები, გაკეთდა წყლის რეზერვუარები, რაც ხელს შეუწყობს გათოვლიანების სისტემების შეუფერხებლად მუშაობას. ეს კი, თავის მხრივ ბაკურიანის განვითარების ერთ-ერთი საფეხურიცაა. ერთი სიტყვით, სერიოზული მზადებაა დიდველში, სადაც მოეწყო საპარკინგე ადგილი, გაკეთდა გზა... აქ ჩამოვა ბევრი უცხოელი სტუმარი და ჟურნალისტი, ყოველი დადებითი შეფასება კი, როგორც ჩვენს ბაკურიანზე ასევე ქვეყნის იმიჯზე აისახება.

**მრავალ ახალ წელს, ახალი წარმატებებით ჩემო ბაკურიანო და ჩემო საქართველო!!!**

იმ მოქალაქეების აზრით კი, რომლებიც არა ცენტრში, არამედ გარეუბნებში ცხოვრობენ, მიესალმებიან ერთიანი ლამაზი ღობეების გაკეთებას და აქვე იმასაც ამბობენ, რომ იქნებ მზის სხივებმა მათი უბნებისკენაც შეაღწიოს და გარეგანათებები მაინც გაკეთდესო, რომ საღამოს გარეთ გამოსვლა ისე შეძლონ, ფეხი არსად ჩაუვარდეთო.

**P.S. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის 20 დეკემბრის განცხადებით 28 დეკემბრიდან 6 იანვრამდე დაბა ბაკურიანის სკვერში საშობაო სოფელი მოეწყობა, სადაც მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ ადგილობრივი წარმოების პროდუქტების გამოფენა-გაყიდვაში მიიღონ მონაწილეობა. ასევე, 28 დეკემბერს გაიმართება ღონისძიება ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით.**

**სოფო ხეთაგაშვილი**

# მწყემსი კეთილი

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს



თქვენო უწმინდესობავ, საოცრად რთულ, დაძაბულ და ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს პერიოდში მოგიწიათ ყოფილიყავით სრულიად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელი და ქართველი ერის უპირველესი სულიერი მოძღვარი. თქვენი აღსაყდრებიდან გავიდა 45 წელი, რომელიც აღსავსე იყო ურთულესი გამოწვევებით, იობის მოთმინებით გაუძელით 70 წლიან კომუნისტურ რეჟიმს, ქვეყანაში შექმნილ არაორდინალურ ვითარებას, შიდა და გარე ობსტრუქციული ძალების შემოტევას, რომლებსაც სურდათ და დღესაც სურთ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაშლა-გახლეჩა და მთლიანად საპატრიარქოს ხელში ჩაგდება. თქვენი უდიდესი შორსმჭვრეტელობით, გონიერებით და წინდახედულობით წმინდად ატარეთ პირველი იერარქის მძიმე ჯვარი, თქვენი 90 წლიანი ცხოვრების მანძილზე უზარმაზარი ინტელექტუალური და სულიერი ენერგია მოახმარეთ ქართველი ერის, საზოგადოების, ახალგაზრდობის შემობრუნებას დედა ეკლესიისაკენ.

თქვენი ძალისხმევით ქვეყანაში აღორძინდა არაერთი ეკლესია-მონასტერი, აღმოცენდა განათლების, კულტურისა და საქველმოქმედო საქმიანობის ცენტრები, უფლის გზაზე შრომობს და მრევლს ლოცვა-კურთხევას არ აკლებს ასობით მღვდელმთავარი, მღვდელი და მონაზონი, რაც ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენაა გლობალიზაციის პირობებში.

თქვენ ერისთვის მარად მღვიძარე, ჩვენი ცოდვათა მტვირთველი მწყემსი კეთილი, მხურვალე ლოცვებით ავედრებთ სამწყსოს უფალს და მამულის გაძლიერებას, ქვეყნის გამთლიანებას და ეკონომიკურ აღორძინებას სთხოვთ.

უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტით სარგებლობთ არა მარტო საქართველოში, ქრისტიანულ და მართლმადიდებლურ სამყაროში, არამედ სხვა კონფესიათა წარმომადგენლებშიც. რაც ქართველთა ეროვნულ ღირსებებზე ახდენს კეთილმყოფელ გავლენას.

თქვენ ყოველთვის ხართ იქ, სადაც ხალხს, ქვეყანას უჭირს. ამის თვალსაჩინო მაგალითია თქვენი უაღრესად დროული და ერისთვის სასარგებლო ინიციატივა იყოთ ყოველი მესამე და შემდგომი ახალდაბადებული ბავშვის ნათლია. ამ კეთილშობილი ნაბიჯით ასობით გოგო-ბიჭი შეემატა ერის გენოფონდს.

დაუვიწყარია თქვენი თავგანწირული მოქმედება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიან ომში ცხინვალში დაღუპული ქართველი ვაჟკაცების გადმოსვენების საქმეში.

თქვენი ცინცხალი გონებით, რჩევებით, ქადაგებებით და ეპისტოლეებით ერს აძლევთ ბრძნულ სამოქმედო პროგრამას, თუმცა თქვენი რჩევა-დარიგებები ბევრჯერ ვერ შევისმინეთ და საკადრისადაც მოგვეზღო. თქვენ, არაერთი ავტორიტეტული ორგანიზაციების კვლევების საფუძველზე რჩებით, ქართველთათვის სათაყვანებელ ერის მამად და უპირველეს პიროვნებად.

თქვენო უწმინდესობავ, მაშინ, როცა ყველაზე ძალიან გაუჭირდა ქართველ ერს და მისი გენოფონდის გამრავლების საკითხი საეჭვო გახდა, განაცხადეთ, - დღეს როგორც არასდროს საქართველოს გადარჩენასა და განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართული გვარების ერთსულოვნებასა და საქართველოს საკეთიდღეო საქმიანობას.

თქვენი ეს ბრძნული შეგონება საქართველოს თითოეულმა გულმხურვალე პატრიოტმა გულის ფიცარზე უნდა დავიწეროთ და როგორც ჯვარი საფიცარი, ისე უნდა ვზიდოთ, როგორც მაცხოვარმა ზიდა გოლგოთამდე.

თითოეულმა ჩვენთაგანმა მთელი არსებით უნდა გავაცნობიეროთ, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და რა მიზანს ემასხურება ჩვენი ამქვეყნად არსებობა. თქვენი ლოცვა-კურთხევითაა შექმნილი სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი, რომლის მიზანმიმართული და ნაყოფიერი საქმიანობა ქართული გვარების შემდგომ განვითარებას უწყობს ხელს, საერთო ჯამში კი გვარის ერთიანობა ჩვენი ერის გამთლიანების, ძლიერებისა და წინსვლის სამსახურშია.

თქვენი ლოცვა-კურთხევით ბორჯომის ეპარქიაში, ამ ისტორიულ მხარეში, სადაც მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ განთქმული სასულიერო პირები, განმანათლებლები, მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანებად აღიარებული გიორგი მთაწმინდელი, მისი აღმზრდელი დედა საბინია, ერის გმირთაგმირი შალვა თორელი და მრავალი სხვა ღირსეული პიროვნებები აღორძინდა ეკლესია-მონასტრები, მნიშვნელოვნად გაიზარდა მრევლის რაოდენობა, განმტკიცდა კავშირი საერო და სასულიერო პირებს შორის. თქვენი ლოცვა-კურთხევით ბორჯომის ხეობის ეკლესია-მონასტრებში აღევლინება სადიდებელი ლოცვა-კურთხევა.

ბორჯომის მოსახლეობა უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ აღსაყდრების 45 და დაბადების 90 წლისთავს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. თქვენი ლოცვა-კურთხევა არ მოკლებოდეს ქართველ ერს.

მრავალჟამიერ თქვენს სიცოცხლეს!

დღეგრძელი იყოს პატრიარქი საქართველოსი!

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის საერო და სასულიერო საზოგადოება.**

# საკრებულოს გენდერის საბჭო აქტიურობს!

**გენდერის** და თანასწორობის საკითხებზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერის საბჭომ 2022 წლის დასკვნით ნაწილში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები და ინიციატივები ჩაატარა, რასაც ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **დავით ზაალიშვილი** სრულიად დადებითად და სამართლიანად აფასებს:

– ჩვენთან არსებული გენდერის საბჭო დაკომპლექტებულია 19 წევრისაგან, როგორც საკრებულოს დეპუტატებისაგან, ასევე მერიის თანამშრომლების და არასამთავრობო ორგანიზაციიდან. ბოლო ერთი წელია მათი მუშაობა ძალიან გააქტიურდა. ყოველ თვეში ორჯერ სხვადასხვა სოფელში გვიწევს მათთან ერთად წასვლა და ადგილობრივი ქალბატონების პრობლემების მოსმენა, დიალოგი მათთან მნიშვნელოვანია და უკვე განვსაზღვრავთ ხოლმე იმ გზებს, რომელიც იქ არსებული პრობლემების მოგვარებისკენ გვიბიძგებს. თემიდან 20-30-მდე მანდილოსანი გვესწრება. მიგვაქვს ინფორმაციები პროექტებზე, მათში არის ბევრი სასარგებლო პროგრამა, მაგრამ ამის შესახებ სამწუხაროდ, მათ არ იციან. თემთან ურთიერთობა უწყვეტი უნდა იყოს. გენდერის საბჭო ასევე აქტიურად მუშაობს ახალგაზრდებთან. აუცილებელია მათ სრული ინფორმაცია მივაწოდოთ ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. დიდი სიხარული მოუტანა დაახლოებით 30 შშმ პირს სპორტულმა შეჯიბრებამ, რომელიც ასევე გენდერის საბჭოს ინიციატივით მოეწყო. შემდეგ კი სრულიად ქალაქის სკოლები, ორგანიზაციები მოიცვა ნარინჯისფერმა კვირეულმა - თექვსმეტდღიანმა კამპანიამ. ლამის, ყოველ მეორე დღეს ტარდებოდა შეხვედრები, კულტურული ღონისძიებები. აქტიურად იყო ჩართული ახალგაზრდები. ჩატარდა შეჯიბრი ქსეებში, რამაც გააჩინა მათი აზროვნების დონე და სწორხაზოვნება საკითხებისადმი. ბორჯომში არსებული ტრეინინგ-ცენტრის ახალგაზრდა საკრებულოს წევრი ბავშვები თითქმის ყველა აქტივობაში ჩაერთვნენ, მოამზადეს პრეზენტაციები. მადლობა მინდა ამ ახალგაზრდებს ვუთხრა და ვპირდები მათ, რომ მომავალი უფრო უკეთესი იქნება, ჩართულობაც უფრო გაფართოვდება. ჩვენ მათ მუნიციპალიტეტის მიმართულებით ვრთავთ განვითარების კუთხით. ვითვალისწინებთ მათ საჭიროებებს და გამოიკვეთა, რომ განათლებაში ხელშეწყობა პრიორიტეტია მათთვის.

გულწრფელად მინდა ახალი წლის დადგომა მივულოცო ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა ქალბატონს, ბედნიერება, სიხარული და წარმატებები ვუსურვო, ყველას წამდეს, რომ მათ ცხოვრებისეულ პრობლემებს უყურადღებოდ არ დავტოვებთ, გვიგულეთ თქვენს გვერდით. მრავალ ახალ წელს დაესწარით.

**მონიკა ჭანტურია**



## მრავალი შვილი ერის სიმდიდრეა!

# ყველა დედას ბედნიერებას ვუსურვებ

**მასთან სტუდენტობის დროინდელი წლები მაკავშირებს, ერთ ჯგუფში ვსწავლობდით (პროფესიით ჟურნალისტია). ამიტომაც, ჩემთვის ნამდვილად საამაყოა, ის ფაქტი, რომ წლების შემდეგ ტყიბულში დაბადებული და გაზრდილი ბორჯომელების რძალი გახდა. თავიდან გაუჭირდა კიდეც სხვა რაიონში ყოფნა, თუმცა სიყვარული ხომ ყოვლისშემძლეა და მის შემთხვევაშიც ასე მოხდა. რამდენჯერ მინახავს ქალაქის ცენტრში აჩქარებული ნაბიჯით მომავალი მუსიკალური სკოლისაკენ თავის ოთხ ულამაზეს შვილთან ერთად. მისი ლიზიკო ქართულ ხალხურ სიმღერასა და გალობას ეუფლება. ჩემთვის ის, ნამდვილი ქართველი ქალის, მეუღლისა და დედის გამოხატულებაა. ადამიანზე, ვიზეც მინდა გიამბოთ ოთხი შვილის დედა, მაიკო ტურძილაძე გახლავთ. რას ნიშნავს მრავალშვილიანი დედობის სტატუსი მისთვის, როგორია მისი ყოველდღიურობა და როგორ ხვდება მისი ოჯახი ყველაზე დიდ ოჯახურ დღესასწაულს, რომელსაც ახალი წელი ჰქვია, ამის შესახებ მაიკო თვითონ გვესაუბრება:**

● **პირველ რიგში მადლობა მინდა გითხრა იმისთვის, რომ დამთანხმდი ინტერვიუზე.გილოცავ დამდეგ შობა-ახალ წელიწადს. სიკეთეს და მშვიდობას გისურვებ დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად. ახლა რაც შეეხება ჩემ პირველ შეკითხვას. სად გაიცანი მომავალი მეუღლე და მანამდე თუ იყავი ბორჯომში ნამყოფი?**

- ჩემი მომავალი მეუღლე ზაალ ჩადუნელი მეგობარმა გამაცნო თბილისში. ჯერ კარგი მეგობრები ვიყავით, შემდეგ მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. 2012 წელს კი დავოჯახდით. ბორჯომში მხოლოდ ბავშვობაში ვიყავი ექსკურსიაზე ნამყოფი და ერთხელ ბანაკში ვიყავი ბაკურიანში. თავიდან გამიჭირდა, მიჭირდა ოჯახის წევრების, მეგობრების გარეშე ყოფნა. სტუდენტობის პერიოდიდან სულ ვმუშაობდი, სამსახურის მიტოვებაც რთული აღმოჩნდა ჩემთვის. თუმცა, დროთა განმავლობაში ყველაფერს ეჩვევა ადამიანი და ჩემ შემთხვევაშიც ასე მოხდა. მეუღლის ოჯახმა უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით მიმიღო. სწორედ მათი გვერდში დგომითა და სიყვარულით მალევე გადავლახე ეს ყოველივე. აქაც შევიძინე მეგობრები.

● **რაც შეეხება ოთხ შვილს, თავიდანვე გეგმავდით, რომ ოთხი შვილის მშობლები იქნებოდით?**

- ოთხი შვილი არ დაგვიგეგმავს, გოგონები თითქმის მიყოლებით არიან. პირველი შვილი ლიზი 2013 წლის 12 იანვარს გაგვიჩნდა, შემდეგ 2014 წლის 22 მარტს მარიამი, 2018 წლის 20 ივნისს ბარბარე და 2020 წლის 31 დეკემბერს მეოთხე ვაჟი ზურა დაიბადა. ასე გავხდით ოთხი შვილის მშობლები და დღეს მე ამით ბედნიერი ვარ.

● **მაიკო როგორია თქვენი, როგორც მრავალშვილიანი ოჯახის ერთი დღე?**

- ოთხივე შვილს განსხვავებული გემოვნება აქვს. ამიტომაც საუზმეც განსხვავებული სჭირდებათ. ვცდილობ, ყველას გემოვნება გავითვალისწინო და ყოველ დილას გემოვნების მიხედვით შევთავაზო საუზმე. შემდეგ უფროსები ლიზი და მარიამი სკოლაში მიდიან, ბარბარე ბაღში. ზუკა კი ჯერ 2 წლისაა. მთელი დღის მანძილზე საკმაოდ დატვირთულები არიან, ვინაიდან სკოლის შემდეგ უფროსები დადიან სიმღერაზე, ცეკვაზე, ფორტეპიანოზე. ლიზი ხატავს ძალიან კარგად. როდესაც მეუღლეა სახლში, ხშირად ეთამაშება ლოტოს, ქალაქობანას, ლიზი და მამა უკრავენ ფორტეპიანოზე, მღერიან. მოკლედ ვცდილობ, რომ მთელი დღე ისე გაატარონ, რომ ნაკლები დრო ჰქონდეთ ტელეფონთან და კომპიუტერთან. მაქსიმალურად ვცდილობ, რაც შეიძლება მეტად ითამაშონ ერთმანეთთან, ასევე სხვადასხვა თამაშები-დედაშვილობანა, მასწავლებლობანა თუ ექიმობანა. ვცდილობთ, ასაკის მიუხედავად ზუკაც შესაბამისად ჩავრთოთ. კარგ ამინდებში გარეთ გავდივართ სუფთა ჰაერზე. მცირე დოზით, რა თქმა უნდა, ვაძლევ უფლებას, რომ ჩემთან ერთად ინტერნეტით საინტერესო ფილმებს ვუყუროთ. მოკლედ ძალიან დატვირთული და საინტერესო დღე გვაქვს.



● **როგორც აღნიშნე, ოთხივე შვილი განსხვავებულია. მომიყევი მათზე, რა უყვართ, რა გამოდით ყველაზე უკეთ?**

- ლიზი შვილებს შორის ყველაზე განსხვავებულია, პირველ რიგში ვიზუალურად, რადგანაც განსხვავებული წითური ფერის თმები აქვს. უკვე წლინახევრის იყო, როდესაც საოცარ რაღაცეებს აკეთებდა. ნიჭიერი და გონიერი გოგონაა. არის ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის პატარა მგალობელი, ასევე ბორჯომის სალოტბარო სკოლის წარჩინებული მოსწავლე, სადაც ქართულ ხალხურ სიმღერასა და გალობას ეუფლება. წელს ქართულ ცეკვაზეც მივიდა. წერს ხატებს. ამჟამად მუშაობს ღვთისმშობლის ხატზე, რომელიც ჯერ დასრულებული არ აქვს. ხატწერას ტიმოთესუბნის ტაძრის მოძღვარი მამა ლაზარე გურჩიანი ასწავლის. სკოლაშიც არაჩვეულებრივად სწავლობს.

მარიამი და ბარბარე ლიზის მსგავსად არაჩვეულებრივად მღერიან. უბრალოდ ბარბარე შედარებით მორიდებულია შვილებს შორის. სიმღერის ნიჭი ჩემი მეუღლისაგან, დედამთილისაგან და მულისაგან გამოყვათ. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი დედამთილი უკვე წლებია ტიმოთესუბნის ტაძრის მგალობელია.

რაც შეეხება მეოთხე შვილს ზუკას, ძალიან ცელქი და მოუსვენარი ბიჭია.

● **რამდენად რთულია გერქვას მრავალშვილიანი დედა და ვინ არის ის ადამიანი, ვინც გვერდით გიდგას და გეხმარება?**

- ძალიან რთულია დღევანდელ დღეს ოთხი შვილის აღზრდა. თუმცა, პირადად მე ძალიან მეხმარებიან ოჯახის წევრები, განსაკუთრებით დედამთილი, რომელიც გვერდით მიდგას. როდესაც ლიზიკო ბორჯომში მიმყავს სალოტბარო სკოლაში და აუცილებელია უმცროსების დატოვება, მეუღლე, ასევე დედამთილ-მამამთილიც იტოვებენ სამივეს. მული, რომელიც თვითონაც დაოჯახებულია, სამი შვილი ყავს, როდესაც მჭირდება ისიც საჭირო დროს ჩემ გვერდითაა. ძალიან საამაყოა, როდესაც ქუჩაში გავდივარ და ძალიან დიდ სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობ ადამიანებისაგან. ვხვდები, რომ ჯერ მხოლოდ ამისთვის ღირდა ოთხი შვილის ყოლა. ეს კიდევ მეტ სტიმულსა და მოტივაციას მაძლევს, რომ უფრო მეტად კარგი დედა ვიყო და ღირსეულად აღვზარდო შვილები.

● **სადაცაა ახალი 2023 წელი შემოაღებს კარებს. როგორ ხვდებით ყველაზე ოჯახურ დღესასწაულს, რამდენი ხნით ადრე იწყებთ მზადებას და თუ გაქვთ რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია?**

- ახალი წლისთვის მზადებას სამი-ოთხი დღით ადრე ვიწყებთ. სამწუხაროდ, პატარები ნაძვის ხეს არ აცდიან მწყობრში ყოფნას, აცლიან სათამაშოებს და მიწევს ხელახლა დაშლა-აწყობა. 10 წლის მანძილზე, ყოველთვის სახლში ვხვდებით ოჯახურ გარემოში ახალ წელს. რაც შეეხება სამზარეულოში ფუსფუსს, ჩემი დედამთილი ამზადებს საახალწლოდ ძირითადად ყველაფერს, თუმცა მეც ვეხმარები.

● **მაიკო, რა რჩევას მისცემდი ქალბატონებს, დედებს?**

- ქალბატონებს და დედებს ვურჩევდი, რომ რაც შეიძლება მეტი დრო გაატარონ შვილებთან, უფრო მეტი თბილი სიტყვა უთხრან შვილებს. ყველანაირად დაუდგნენ გვერდით მიზნებისა და ოცნებების ასრულებაში. არა აქვს მნიშვნელობა მათი შვილები რამდენად ნიჭიერები ან გამორჩეულები არიან. რაც შეიძლება მეტად აგრძნობინონ სიყვარული, მხარდაჭერა, თანადგომა. დღეს ისეთი ცხოვრებაა, რომ ბევრი აგრესიაა, ასე რომ, რაც მეტ სითბოსა და სიყვარულს ვაჩვენებთ და ვაგრძნობინებთ შვილებს, უკეთესი იქნება. მე ამ ეტაპზე მხოლოდ დიასახლისი ვარ, თუმცა ჩემთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩემ შვილებს ბედნიერებს ვხედავ. შვილების გვერდით ყოფნაზე დიდი ბედნიერება ხომ არ არსებობს ქალისთვის. ამიტომაც, ვურჩევდი დედებს, რომ დატკბნენ შვილებთან გატარებული თითოეული წამით.

● **ახალი წელი სურვილების ასრულებასთან, მომავლის იმედთან ასოცირდება. რას ისურვებდი და უსურვებდი 2023 წელს სრულიად საქართველოს მოსახლეობას და ბორჯომს?**

- პირველ რიგში საკუთარ თავსაც და ყველას ვუსურვებ მშვიდობასა და ჯანმრთელობას. მინდა, რომ რაც შეიძლება მეტი, ბედნიერებითა და ღიმილით აღსავსე ადამიანები მენახოს ქუჩაში. ნაკლები შური და მტრობა ყოფილიყოს მომავალი წლისთვის.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

# წარმატებული ბორჯომელი ექიმი

**სისხლძარღვთა ქირურგი, ანგიოლოგი გიორგი საბაშვილი ამჟამად მუშაობს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში.**

**არჩეულია საქართველოს ანგიოლოგისა და სისხლძარღვთა ქირურგიის ასოციაციის გამგეობის წევრად;**

**ევროპის სისხლძარღვთა ქირურგიის ასოციაციის წევრი (ESVS);**

**მსოფლიოს ფლებოლოგთა ასოციაციის წევრად (UIP);**

**არის 19 სამეცნიერო ნაშრომისა და 1 გამოგონების ავტორი;**

**სამედიცინო საექიმო საქმიანობას ეწევა 2000 წლიდან. დაიბადა და გაიზარდა ქალაქ ბორჯომში ჯემალ საბაშვილისა და იზოლდა გურგენიძის ოჯახში.**

**2016-2019 წლებში ბორჯომელებისთვის კონსულტაციების გაწევის მიზნით ჩვენს ქალაქს ხშირად სტუმრობდა, პანდემიის პერიოდში ექიმის ვიზიტები ბორჯომში სამწუხაროდ შეწყდა. ჰყავს ექიმი მეუღლე რუსუდან სიხარულიძე და 2 ვაჟი, 17 წლის საბა და 16 წლის ალექსანდრე. სულ ცოტა ხნის წინ საბა საბაშვილი პრაღაში, ნიუ-იორკის უნივერსიტეტში, საგარეო ურთიერთობებსა და დიპლომატიის სპეციალობაზე ჩაირიცხა, უმცროს შვილს კი მშობლების მსგავსად ექიმობა სურს.**



**გიორგი საბაშვილის დილა პაციენტების მიღებით იწყება.**

– კონსულტაციები, ოპერაციები - ეს ჩემი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. დიდ ბედნიერებას მანიჭებს პაციენტებთან ურთიერთობა და მათი დახმარება.

თითქოს ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს, შეუჩერებლად მიდის, თითქოს სახეებსაც ერთნაირს ხედავ ტკივილიანს, ნაღვლიანს, მომლოდინეს... უყურებ იმედით აღსავსე თვალებს; თვალებს, რომლებიც პაციენტის სულის და ემოციის სარკეა. ასე სრულდება დღე ერთი გაელვებასავით და იწყება ახალი.

არასოდეს დამავიწყდება 13 წლის გოგონა, რომელსაც ფრანგი პროფესორი ბარძაყის ძვლის სიმსივნის გამო უკეთებდა ოპერაციას. მე სისხლძარღვებზე გავუკეთე ოპერაცია, ანუ პირველი ეტაპი ჩემი კუთხით მოსამზადებილი გახლდათ, ძირითადი ოპერაცია ფრანგმა პროფესორმა წარმართა - დაგრძელებადი მუხლის სახსრისა და ბარძაყის ძვლის ენდოპროტეზი. ოპერაციამდე ფეხი ვიზუალურად კატასტროფულად იყო დეფორმირებული. როდესაც ოპერაციის შემდეგ სანახავად შევედი, გოგონას ემოციური ფონი იმდენად ძლიერი იყო, რომ ეშინოდა, ვერ ბედავდა ახლადნაოპერაციები ფეხის ნახვას. საბანი რომ გადავწიე, თვალები მაგრად დახუჭული ჰქონდა, არ ახელდა. დიდხანს ვესაუბრე, დავამშვიდე, ამის შემდეგ მან ფეხს დახედა და ატირდა. ვერ მივხვდით რატომ აღელდა! - დამშვიდების შემდეგ გვითხრა, რომ ასეთ შედეგს არ ელოდა. ოპერაციამ მართლაც ბრწყინვალედ ჩაიარა, როგორც კოსმეტიკური თვალსაზრისით, ასევე ფუნქციური. გოგონა ოთხი წლის განმავლობაში დადიოდა ჩემთან კონტროლზე, შედეგით ძალიან ბედნიერი იყო. შემდეგ ის ოჯახთან ერთად ევროპაში გადავიდა საცხოვრებლად.

არც ერთი ოპერაცია ერთმანეთს არ ჰგავს, იყო შემთხვევა გამოკვლევებისას ზუსტად ვიცოდით რა უნდა გაგვეკეთებინა, თუმცა ოპერაციის მსვლელობის დროს აღმოვაჩინეთ, რომ რაღაც უკეთესად შეგვეძლო გაგვეკეთებინა.

**ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა არ არის სრულყოფილი, თუ ექიმმა სათანადოდ ვერ აუხსნა პაციენტს არსებული მდგომარეობა, არ დაუთმო საჭირო დრო მასთან საუბარს.**

ვიღაცისთვის ერთი წუთია საკმარისი და ვიღაცას მეტი დრო სჭირდება დაავადების შესახებ ინფორმაცის მისაღებად და გასააზრებლად. იდეალურია როდესაც პაციენტი კაბინეტს ტოვებს და კითხვები აღარ აქვს. პაციენტისთვის ამომწურავი პასუხების მიღება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ხარ პასუხისმგებელი. მან უნდა იგრძნოს, რომ ყველაფერს აკეთებ მისი უკეთესად ყოფნისთვის. ექიმი მკურნალობს არა დაავადებას, არამედ პაციენტს. უამრავი დაავადებაა, რომელიც არ იკურნება. ექიმმა შვება უნდა მისცეს პაციენტს და რთულ სიტუაციაშიც აპოვნინოს გამოსავალი.

სტუდენტებსაც ხშირად ვეუბნები, გასაგებია, რომ სიცოცხლეზე იღებ პასუხისმგებლობას, სიცოცხლე შეუნარჩუნე, არაფერი არ დაუშავე, მაგრამ ამასთან ერთად მნიშვნელოვანი მომენტია, იბრძოლო, გააუმჯობესო მათი ცხოვრების ხარისხი, ყოველდღიური ტკივილი, პრობლემები შეუმციროო.

**ბატონ გიორგი საბაშვილს ბავშვობიდან, დაახლოებით 10 წლის ასაკიდან ექიმობა ჰქონდა გადაწყვეტილი და ვერც კი წარმოედგინა სხვა პროფესია.**

– ჩემთვის ძალიან ახლობელ ადამიანებს ამ სფეროში ვხედავდი, განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ყველაფრის მიმართ, ზედმეტად გაწონასწორებულები, მშვიდები იყვნენ, ცივი გონებით ღებულობდნენ გადაწყვეტილებებს.

პირველი ოპერაციებიდან მახსენდება, როდესაც 23 წლის ვიყავი, პროფესორმა მომცა უფლება გამეკეთებინა ოპერაცია, ჩემი უფროსი მეგობრის შვილი იყო. შუა ოპერაციისას გამაჩერა და მითხრა:- მოდი ადგილები გავცვალოთო. მაშინ მითხრა, ასეთ ახლობელზე თუ იძულებული არ იქნები არ უნდა გააკეთო ოპერაციაო. რამდენჯერმე მომიწია ახლობელზე ოპერაციის გაკეთება, შემდეგ გამოცდილებასთან ერთად ცივი გონებით იღებ გადაწყვეტილებებს, თავდაპირველად ემოციურობა ახლავს თან.

**ჩვენი რესპონდენტისათვის უცხო თემას არ წარმოადგენს პაციენტების უსასყიდლოდ, ხარისხიანი მედიკამენტებით დახმარება.**

პანდემიას, როგორც დადებით ფაქტორს იმით აფასებს, რომ ძალიან ბევრი კვლევები ჩატარდა და მეცნიერებას მეტი ყურადღება დაეთმო.

– ძალიან ბევრი ახალი სამეცნიერო პუბლიკაცია იბეჭდება, რომლის წაკითხვა დღეს უფასოდაა ხელმისაწვდომი, თუმცა შევხვდებით ფასიან სამეცნიერო ნაშრომებსაც.

დღეს მახარებს ფაქტი, რომ 1 ნოემბრიდან საქართველოში შეიცვალა ჯანდაცვის დაფინანსების პროგრამა, მიუახლოვდა ევროპულ სტანდარტებს. ვფიქრობ, რომ ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია საზოგადოებისათვის. პაციენტს საშუალება ექნება აირჩიოს მისთვის სასურველი საავადმყოფო, ექიმი, სერვისი და ა.შ.

გიორგი ექიმმა საუბრის დასასრულს გვითხრა, რომ პიროვნული განვითარება, მუდმივი შრომა და სწრაფვა სწავლისკენ, ახლის შეძენისკენ პროცესია, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე მიმდინარეობს. იგი ადამიანს აძლევს საშუალებას შეაფასოს საკუთარი უნარ-ჩვევები, დაისახოს მიზნები და ჰქონდეს სწრაფვა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისაკენ. ვფიქრობ, რომ განათლება ის ბერკეტია, რომელსაც აუცილებლად უნდა დავეყრდნოთ, რათა მეტი სინათლე შემოვიტანოთ ჩვენს საზოგადოებაში.

გამოგონების შესახებ კი თავმდაბლობით გვიპასუხა, რომ კოლეგასთან ერთად ქირურგიული ჩარევის მეთოდზე ჩატარდა ექსპერიმენტი, ოპერაციებისას, თუ რამდენად ქმედითი იქნებოდა მისი გამოყენება.

**მშობლიური ქალაქზე ემოციების გაზიარებაც ვთხოვეთ, გვიპასუხა:**

– ბორჯომი ჩემი ქალაქია, ჩემი ღრმადგადგმული ფესვები. მასთან ყოველთვის განსაკუთრებული ემოცია და დამოკიდებულება მაქვს. ჩემთვის ყველა ქალაქზე და ადგილზე მიმზიდველია, სადაც კი ვყოფილვარ.

ინტერვიუ დამდეგი შობა-ახალი წლის მოლოცვით დავასრულეთ.

**– თითოეულ ბორჯომელს ვულოცავ ახალ წელს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, საუკეთესო მომავალს და წარმატებულ 2023 წელს ვუსურვებ იმედითა და რწმენით ეცხოვროთ მრავალი წელი.**

ესაუბრა **ია იანვარაშვილი**

# ტრენინგ-ცენტრის გამარჯვებულები

**მშვიდობისა და განვითარების აკადემიის მხრდაჭერით, საქართველოდან ოთხმა ახალგაზრდამ, ნინი ივანიძემ, ნიკი ბერიძემ, მარიამ ხაჩიძემ და ვანო ხარაშვილმა, პოლონეთში, ქალაქ პორონინში ერთი კვირის განმავლობაში სატრენინგო კურსი ,,Gaming for Learning~ გაიარეს, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდულ მუშაკთა კომპეტენციის გაძლიერებას საგანმანათლებლო თამაშების კუთხით. პროექტი ევროპის კავშირის პროგრამის ,,Erasmus +''-ის ფარგლებში განხორციელდა. ჩვენთვის ნამდვილად საამაყოა, რომ ოთხ მონაწილეს შორის ზემოთ ჩამოთვლილი გოგონები - ბორჯომის ტრენინგ ცენტრის კურსდამთავრებულები არიან. როგორ მოხდა პროექტის მონაწილეთა შერჩევა, როდის შეიტყვეს გოგონებმა აღნიშნულის შესახებ, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის პოლონეთში მიღებული ცოდნა და როგორ გამოიყენებენ ისინი უკვე მიღებულ ცოდნას ყოველდღიურ საქმიანობაში, გოგონები თვითონ მოგვიყვებიან:**





**მარიამ ხაჩიძე: –** ნოემბრის შუა რიცხვებში გავიგე, რომ მშვიდობისა და განვითარების აკადემიამ შემარჩია. პირადად მე, არანაირი განაცხადი არ მქონდა შევსებული. სწორედ აღნიშნული განვითარების ცენტრი თანამშრომლობს როგორც ბორჯომის ტრენინგ ცენტრთან, ასევე ,,Erasmus+''-ის ორგანიზაციასთან. ძირითადი კრიტერიუმები კი მონაწილეთა შერჩევისას გახლდათ ის, რომ მათ ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული ახალგაზრდულ საქმიანობაში, გვაქვს ამის გამოცდილება და რაც მთავარია, ყველა მონაწილეს უნდა ცოდნოდა ინგლისური ენა.

პროექტის თემა იყო ,,Gaming for learning'', შესაბამისად შეხვედრებზე განვიხილეთ თემა - „გემიფიკაცია", რაც გულისხმობს თამაშის მექანიკის დანერგვას არათამაშის პროცესში. თავდაპირველად გავეცანით მის არსს. შემდეგ მიმდინარეობდა სწავლება და პრაქტიკული სავარჯიშოები. ვისწავლეთ არაერთი გასართობ-შემეცნებითი თამაში, რომლებსაც აქტიურად გამოვიყენებთ ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესში. გარდა ამისა მოეწყო გასვლითი აქტივობები და ვეწვიეთ ქალაქ კრაკოვსა და და ზოკაპანეს. პროექტს კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა ის, რომ საქართველოს გარდა მონაწილეები იყვნენ ჩართულები სხვადასხვა ქვეყნებიდან (უნგრეთი, იტალია, უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი, პოლონეთი). 13 დეკემბერს მოეწყო კულტურული საღამო, სადაც მონაწილეები შევეცადეთ საინტერესოდ წარმოგვეჩინა თითოეულს ჩვენი ქვეყანა. ერთმანეთს გავაცანით საკუთარი ისტორია, კულტურა. გვქონდა ქვიზები, ვიდეო მასალა, პრეზენტაციები, ცეკვები, სიმღერები. ასევე ადგილობრივი და ტრადიციული ტკბილეული. ქართველები შემოსილები ვიყავით გათანამედროვებულ ტრადიციულ სამოსში, რომელიც ასევე ბორჯომის ტრენინგ ცენტრის მოსწავლეების მიერ გახლავთ შექმნილი. მოკლედ გეტყვით იმას, რომ მე პირადად ამ ერთმა კვირამ ბევრი რამ მომცა, პირველ რიგში გუნდური მუშაობის გამოცდილება, ვისწავლეთ ბევრი ახალი თამაში, რომელიც მნიშვნელოვანია ახალგაზრდების სწავლების პროცესში. გარდა ამისა, გავცვალეთ ინფორმაციები სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან, გავეცანით მათი ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ მსგავსი პროექტები უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდების განვითარებისათვის.

**ნინი ივანიძე: –** პროექტში ჩემს მონაწილეობაზე იმდენად მოულოდნელად შევიტყვე, რომ დღემდე მომყვება ის ემოციები და სიხარული, რაც მაშინ განვიცადე. ეს ერთი კვირა ბევრის მომცემი იყო ჩემთვის. პირველ რიგში მივიღე უცხოელებთან კომუნიკაციის გამოცდილება, უამრავი რამ გავიგე სხვა ქვეყნების კულტურაზე. ტრენინგების განმავლობაში ვისწავლე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობა და თაიმ მენეჯმენტი. საბოლოო ჯამში დარწმუნებული ვარ, რომ ტრენინგებზე მიღებული გამოცდილება ნამდვილად დამეხმარება ჩემ ყოველდღიურ საქმიანობაში და შევძლებ მის უკეთესად წარმართვას.

**ნიკი ბერიძე: –** უდავოდ ვეთანხმები გოგონებს, რომ ნამდვილად დაუვიწყარი დღეები გავატარეთ პოლონეთში. მსგავსი ტიპის გაცვლით პროგრამებს ძალიან ბევრი დადებითი მხარე აქვს. ჩემთვის აღნიშნული ვიზიტი პოლონეთში პირველი და საოცარი ემოციებით აღსავსე, დასამახსოვრებელი საერთაშორისო პროექტი იყო. ძალიან ბევრი რამ მივიღე აღნიშნული პროგრამიდან - უცხო ენის პრაქტიკაში გამოყენება, ახალი, საინტერესო ადამიანების გაცნობა, შესაძლებლობა რომ ჩვენი ქვეყანა სხვებს გავაცნო. უშუალოდ თემასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაცია და შესაძლებლობა რომ იქ მიღებული ცოდნა სხვებს გავუზიარო. ვფიქრობ, რომ მომავალში მსგავსი ტიპის პროგრამებში კიდევ უფრო მეტმა ახალგაზრდამ უნდა მიიღოს მონაწილეობა.



ესაუბრა
**ნატო მელიქიძე**

## გილოცავთ!



**ჩემო ბორჯომელებო, გილოცავთ დამდეგ 2023 წელს. გისურვებთ ულევ სიხარულს, სიკეთესა და წარმატებას. ეს წელი მშვიდობისა და კეთილდღეობის მომტანი ყოფილიყოს ყველა ოჯახისათვის. ყოველ წელს ახალი მოაქვს და ვუსურვებ ბორჯომს ბევრ წარმატებულ ახალგაზრდასა და სასპორტო სკოლას კიდევ მეტ ჩემპიონს.**

**ელიზბარ სტეფნაძე,**
**ბორჯომის სასპორტო სკოლის დირექტორი**

# სანამ სეზონი დაიწყება

**ზამთრის** საკურორტო სეზონის დაწყებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა და როგორც ამ დროს სჩვევია ბაკურიანს, განსაკუთრებულ ფუსფუსსა და გუგუნშია. სტუმარ-დამსვენებელთა ჩამოსვლის მოლოდინში ყველა ცდილობს საქმეები მოაგვაროს და სეზონის დაწყებას ღირსეულად დახვდეს. წელს მგონი განსაკუთრებული წელია, ასეთი ფერისცვალება ერთ სეზონზე შეიძლება არც ყოფილა არასოდეს და ჯერაც შეუცნობელის მოლოდინში გვჯერა, რომ გლობალური ცვლილებები სიკეთისაკენ გადაიხრება. ბოლო კეთილიაო, იძახიან ოპტიმისტები და სიახლეების მოლოდინში ბაკურიანი თავის ჯადოსნურ გარდასახვას ელოდება. როგორი იქნება ეს გარდასახვა, დაუბრუნდება თუ არა მას ძველებური, განსაკუთრებული ხიბლი და რას მოუტანს მას ეს ცვლილებები - ამას დრო გვიჩვენებს.



პირველი თვალში საცემი ცვლილება ბაკურიანში შემოსვლისთანავე მოხვდება თვალში კურორტზე ჩამოსულს - ახალი ღობეები, პროექტი, რომელიც რეგიონული განვითარების ინიციატივით ხორციელდება. პროექტის იდეა მოწესრიგებული, კოხტა ღობეების მოწყობა და ბაკურიანის იერსახის გაუმჯობესებაა. პროექტის განხორციელება ოქტომბერში დაიწყო და მისი პირველი ეტაპის დასრულება დეკემბრის ბოლოსთვისაა დაგეგმილი. მოსახლეობის აზრი თავიდანვე ორად გაიყო. აქაც სკეპტიკოსები, პესიმისტები და ოპტიმისტები ერთმანეთს აზრს უზიარებდნენ. ბევრი იწუნებდა ღობეებს მისი სიდაბლის გამო (რაც სამწუხარო ჭეშმარიტებაა), თუმცა ყველა შეთანხმდა იმ აზრზე, რომ სამივე ტიპის ღობე ვიზუალურად ძალიან ლამაზია. რაც შეეხება ღობეების სიმაღლეს, ხმაურიან, მანქანებით გადატვირთულ ცენტრალურ ქუჩაზე ასეთი დაბალი ღობეების დამონტაჟება პირდაპირ დანაშაულია. თუმცა როგორც ბაკურიანის განვითარების სააგენტოს უფროსს, ეკატერინე ორჯონიკიძეს არაერთხელ აღუნიშნავს, დროთა განმავლობაში აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს ცენტრალური ქუჩა, შეიზღუდოს ავტომობილების მოძრაობა. დაინიშნება საზოგადოებრივი ტრანსპორტი, გამწვანდება და ის გახდება ნამდვილად რეკრეაციული ადგილი. თუმცა მანამდე ღობეების დამონტაჟების პერიპეტიები გრძელდება და საინტერესო დაკვირვებებს ვაკეთებთ ლამაზი ღობეების მოლოდინში მოღიავებული ეზოებიდან.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ბაკურიანში ერთ-ერთი მთავარი და მტკივნეული ნაგვის თემაა, რომელზეც მხოლოდ ზარმაცი არ ლაპარაკობს. მაგრამ ასევე ყველამ უნდა იცოდეს, როგორ კეთილსინდისიერად მუშაობს ბაკურიანში დასუფთავების სამსახური, ამის არდანახვა უბრალოდ არ შეიძლება. მაგრამ ათასჯერ გამეორებულს კიდევ ვიტყვი - აი მსოფლიო ჩემპიონატზე ყატარში მთელი ქვეყნიერება გააოგნა და აალაპარაკა იაპონელ გულშემატკივართა საქციელმა, რომლებიც თავისი გუნდის ყოველი თამაშის შემდეგ ნაგვის პარკებით ხელდამშვენებულები ასუფთავებდნენ თავიანთ და მეზობელ ტრიბუნებსაც. და ასე, ნაგვით სავსე პარკებით ტოვებდნენ სტადიონს. რა თქმა უნდა, ქართველებიც გამოეხმაურნენ ამ ამბავს, „მივბაძოთ ქართველებმაო“ და კი ბატონო, მიბაძეთ, ვინ გიშლით - ამ ღობის თემაზე გამახსენდა ზუსტად, როგორ „ბაძავენ“, ამ მოღიავებულ ეზოებში ყოველდღიურად რომ გვიწევს ნაგვის აკრეფა. ვისაც არ ეზარება იქვე, ღია ეზოებში ტოვებს ნაგავს, მიუხედავად იმისა, რომ ბუნკერების გარდა, ახალი, კოხტა სანაგვეები განთავსდა მთელი ცენტრალური ქუჩის გასწვრივ. აჰა, ბატონო, მიბაძეთ ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს, ვინ დაგიშალათ და პირველ რიგში პატრიოტიზმში, თავისას და სხვისასაც რომ უფრთხილდებიან. რა ამის პასუხია და ამასწინად სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, სადაც მავანი ფოტოზე გამოსახულ პეიზაჟს ბაკურიანად ასაღებდა და თან უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა, ვინც ბაკურიანი კურორტად მონათლა იმის ასე და ისეო. ყველაზე ამაზრზენი ის იყო, რომ შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა, რომ ფოტოზე ბაკურიანი კი არა, საერთოდ საქართველოს პეიზაჟი არ იყო გამოსახული. იმის თქმა მინდა, რომ ადამიანს თუ დანახვა არ უნდა, ძალით ვერ დაანახვებ. ამიტომ მთავარია, ვაკეთოთ კეთილსინდისიერად ყველამ საკუთარი საქმე და ყველაფერი კარგად იქნება!

მრავალ ახალ წელ დაესწარით, გეცხოვროთ ოპტიმიზმით და ერთმანეთის სიყვარულით.

**რუსუდან სხირტლაძე**

# ცეკვა არის სულიერი სიმშვიდე!

**ბოლო დროს წარმოდგენილ კონცერტებში შეამჩნევდით სცენაზე ტალღასავის შემოვარდნილ წითელკაბიან გოგოს, რომელიც მთელი სხეულით გვესაუბრება. მოძრაობებს თან აყოლებს სულსაც და ცხოვრების განსაზღვრულ მონაკვეთს ჰყვება. 16 წლის ნინი ხუციშვილი, ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეა. 6 წლიდან ცეკვავს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში უცვლელ პედაგოგთან - ნინო მდივნიშვილთან, რომელსაც დიდ მადლობას უძღვნის. ცეკვაში მიღწეული წარმატებებისა და პიროვნული ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისთვის. ნინი ემოციურად გადმოსცემს მშობლების თანადგომისთვის მადლიერებას და ამბობს, რომ არ ახსოვს წუთი, როცა დედა მის გვერდით არ იყოს, გადამწყვეტ მომენტებსა და გარემოებებში ყოველთვის გრძნობს განუზომელ მხარდაჭერას. ბუნებრივია, ყველა ახალგაზრდას ვეკითხებით, სწავლის დასრულების, პროფესიის დაუფლების შემდგომ რამდენად დაუბრუნდება მშობლიურ ქალაქს, ამაზე ნინი მპასუხობს სრულიად გულწრფელად: - დანამდვილებით ჯერ ვერ გპასუხობთ, მაგრამ თუ საზოგადოებას დავჭირდები, ბორჯომს დავჭირდები, რატომაც არა, დიახ, დავბრუნდები და შევუდგები ჩემ საყვარელ საქმეს.**

**- ნინი, შენი ამ განსაკუთრებული ცეკვის ნომრით ყველა აღაფრთოვანე, დაატყვევე სცენიდან. რა არის შენთვის ცეკვა და რომელ ასაკში გააცნობიერე, რომ ის შენთვის მთავარი საქმეა?**



- ჩემთვის ცეკვა არის სულიერი სიმშვიდე! როდესაც ჩემი სხეული მოძრაობას იწყებს, ამ დროს ყველანაირი ნეგატივი იდევნება ჩემი გონებიდან და ნეტარება ისადგურებს.

დიდი ხანია იმ დასკვნამდე მივედი, რომ ცეკვის გარეშე მე ვერ ვიარსებებ.

**- რას აპირებ მომავალში, შენი ძირითადი პროფესია იქნება ცეკვა?**

- მომავალზე საუბარი დიდად არ მიყვარს. ჩემთვის მთავარია შედეგის დადება და არა მიზნებზე საუბარი. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ წინ დიდი გზა მაქვს!

**- მაყურებელმა მკვეთრად დაიმახსოვრა შენი ცეკვა წითელ კაბაში... რა არის ცეკვაში მთავარი?**

- ეს ნომერი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და გამორჩეულია. ამ ცეკვის დროს, იმ ყველაფერს გადმოვცემ, რისი თქმაც მინდა. ზუსტად ამიტომ დაერქვა სახელად ამ ცეკვას „ამოძახილი“. ცეკვა ეს არაა მხოლოდ მუსიკაზე აყოლა და სხეულის მოძრაობა. ჩემთვის ეს არის ჰარმონია. ამ დროს გამოხატავ შენს ემოციებს, რაც ბევრი ადამიანისთვის რთულია.

**- ალბათ, შენც გაქვს ოცნებები და ასახდენი სურვილები ცეკვასთან დაკავშირებით... გაგვიმხელ?**

- ოცნებას არ ვუწოდებ, რადგან ოცნება უმეტეს შემთხვევაში არარეალურ სურვილთან ასოცირდება. როგორც ყველა მოცეკვავის, ასევე ჩემი მიზანია ანსამბლ „სუხიშვილების“ წევრი გავხდე. მათი ხილვის დროს რაც კი გრძნობა არსებობს, ყველაფერი ერთად მეუფლება. ზუსტად ეს გრძნობა მინდა დაეუფლოს იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემს ცეკვას უყურებენ.

**- წარმატებები, შენ იმსახურებ შენი შრომისმოყვარეობით იკაშკაშო ამომავალი ვარსკვლავივით.**

ესაუბრა **მონიკა ქანტურია**

# მნიშვნელოვანი ნაბიჯებით 2023 წელს!

**ბორჯომის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი, იზოლდა ლომიძე გაზეთი „ბორჯომის“ საშუალებით ულოცავს სრულიად ბორჯომის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებათა საზოგადოებას დამდეგ ახალ წელს და აქვე აჯამებს განვლილი წლის მნიშვნელოვან აქცენტებს და გვამცნობს მომავალი წლისთვის დაგეგმილ დიდ პროექტებს. „გვიახლოვდება ახალი წელი - სიახლეების, იმედების, საინტერესო გამოწვევების. გილოცავთ 2023 წლის შემობრძანებას! ძვირფასო მშობლებო, პედაგოგებო, სტუდენტებო, პროფესორ-მასწავლებლებო, ჩვენო მოქალაქეებო, გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, სიკეთესა და წარმატებებს. ვულოცავ ყველა ბორჯომელს და სრულიად საქართველოს! ახალი წელი ყოფილიყოს ხვავით, ბარაქით, სიკეთით, სიხარულით, ბედნიერებით დატვირთული მთლიანად საქართველოსთვის და სრულიად სამყაროსთვის! გასულ წელს პანდემიამ კვლავაც დიდი გავლენა იქონია განათლების სისტემაზე. თუმცა, მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, ერთობლივი ძალისხმევითა და დაუღალავი შრომით ჩვენ მათი დაძლევა შევძელით, რისთვისაც ყველას დიდ მადლობას გიხდით. მჯერა, 2023 წელს ერთობლივად განახლებული ენერგიითა და შემართებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადავდგამთ განათლების სისტემის განვითარების გზაზე, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ და მნიშვნელოვანი სიახლეებით დავამთავრეთ 2022 წელი.**



**სასიხარულოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში დაწყებულია სამედიცინო კაბინეტების მოწყობა და შესაბამისად, ექიმებისა და ექთნების შერჩევა. ყველა საჯარო სკოლაშია უზრუნველყოფილი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება. ინფრასტრუქტურიული მასშტაბური პროექტებია დაწყებული რაიონში. კერძოდ, მიმდინარეობს ბაკურიანის საჯარო სკოლის სრულიად ახალი, 500 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის სამშენებლო პროცედურები. ასევე, მიმდინარეობს და დასრულდება 2023 წლის ახალი სასწავლო წლისათვის მეოთხე საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია. აქვე გეტყვით, რომ დასასრულს უახლოვდება ბორჯომის პროფესიული სასწავლებლის მშენებლობაც. იგეგმება №6 საჯარო სკოლის, ტაბაწყურის, დვირის, ჭობისხევის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია. ასევე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ახალდაბისა და №1 საჯარო სკოლების რეაბილიტაცია. ვფიქრობ, კეთილმოწყობილი გარემო კიდევ ერთი ფუნდამენტური აგური იქნება მომავალი თაობის სწავლისადმი მოტივაციის ამაღლების საქმეში!“.**

ჩაიწერა **მონიკა ქანტურია**

# წლის საუკეთესო მოხალისის გამარჯვებული *მარიამ ტაბატაძე*

**2022 წლის 5 დეკემბერს,** ასობით ახალგაზრდა მოხალისემ საქართველოს 63 მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობა მიიღო გაეროს ბავშვთა ფონდისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის - „helfing hendis”-ის მიერ მხარდაჭერილ პროექტებში „COVID 19-ის გამოწვევების საპასუხოდ“.



ამ დღისათვის სპეციალურად შერჩეულმა ჟიურიმ გამოავლინა და დააჯილდოვა „წლის საუკეთესო მოხალისეები“. ღონისძიებას ქვეყნის მასშტაბის 63 მუნიციპალიტეტის მოხალისეები, ადგილობრივი თვითმმართველობის, პარტნიორი ორგანიზაციებისა და სკოლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონკურსის გამარჯვებულები საქართველოს მასშტაბით ორ ასაკობრივ კატეგორიაში - მოზარდების (13-18) წლის და ახალგაზრდების (19-29) წლის ჯგუფიდან გამოვლინდნენ სხვადასხვა თემატურ ნომინაციაში.

- „ისეთი კრიზის დროს, როგორიც COVID 19-ის პანდემიაა, საჭიროა მოზარდებისა და ახალგაზრდების პრიორიტეტებისა და საჭიროებების გათვალისწინება. აუცილებელია მათი კარგად ინფორმირება და შესაბამისი რესურსებითა და განათლებით აღჭურვა“. ახალგაზრდების მონაწილეობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა ძალიან მნიშვნელოვანია მათი და მთლიანად საზოგადოების განვითარებისათვის“, აღნიშნა ღასან ხალილმა, გაეროს ბავშვთა ფონდის წამომადგენელმა საქართველოში.

მოხალისეები შეარჩიეს „ჰელფინგ ჰენდის“-ის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შექმნილ მოხალისეთა ახალგაზრდული პლატფორმის საშუალებით https://youthvolunteering.ge, სადაც 3000-ზე მეტი ახალგაზრდა მოხალისეა დარეგისტრირებული. მთელი წლის განმავლობაში ახალგაზრდები აღნიშნული პლატფორმის გამოყენებით აზიარებდნენ ისტორიებს მათ მიერ შესრულებული მოხალისეობრივი საქმიანობის შესახებ.

აღნიშნული დაჯილდოების ცერემონიალზე ბორჯომის მუნიციპლიტეტიდან „წყლის მოხალისე ადვოკატების“ სტატუსით სამი მოსწავლე ნია ხუციშვილი, ანა კაპანაძე და მარიამ ტაბატაძე გახლდნენ მიწვეული. ჩვენდა სასიხარულოდ, 63 მუნიციპლიტეტიდან მიწვეულ სტუმრებთაგან 15 მოხალისეს შორის, რომელთაც „2022 წლის საუკეთესო მოხალისის“ ჯილდო გადაეცათ ერთ-ერთი №1 საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ ტაბატაძე გახლავთ. მარიამმა ღონისძიებაზე ამ დღისთვის განკუთვნილი დამადასტურებელი ჯილდოს გარდა მიიღო სიგელი, ასევე სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ მან მონაწილეობა მიიღო პროექტში „მოხალისე წყლის ადვოკატები“ და ტრენინგი თემაზე „უსაფრთხო წყალი, ადვოკატირება და მოხალისეობა“. მადლობის სიგელი გადაეცა ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას „მოზარდი მოხალისეების განსაკუთრებული მხარდაჭერისათვის“.

**მარიამ ტაბატაძე** - „2022 წლის საუკეთესო მოხალისის“ ჯილდოს მფლობელი: „- მე ოცნებად მქონდა გამარჯვება, თუმცა ბოლო მომენტამდე მაინც ეჭვი მეპარებოდა, თუმცა, როდესაც ჩემი სახელი და გვარი გამოაცხადეს, გავვოცდი. აი ამის შემდეგ კი ნამდვილად დავრწმუნდი, რომ თურმე შეუძლებელი არაფერია. ის რაც ძალიან გინდა და გსურს, ნამდვილად ახდება. მთავარია შრომა, სურვილი და მონდომება. ჩემთვის საპატიოა აღნიშნული ჯილდო და ვეცდები, რომ ღირსეულად ვატარო. მადლობა ჩვენ მუნიციპლიტეტს, რომ გვერდში დაგვიდგა და ჩვენი ტრანსპორტირება უზრუნველყო. მიხარია, რომ ახალ თაობას ყველანაირად უწყობს ხელს,რომ წარმატებას მივაღწიოთ“.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიური დაჯილდოების ტრადიციის მიზანია ახალგაზრდული მოხალისეობის მხარდაჭერა და წახალისება, ასევე, იმ მოხალისეების შრომის დაფასება, რომლებიც უანგაროდ ეხმარებიან სოციალურად დაუცველ თუ სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

დახურვის ცერემონიაზე შეაჯამეს „მოხალისე წყლის ადვოკატების“ პროექტის შედეგებიც. ახალგაზრდებმა ერთმანეთს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება და შთაბეჭდილებები. მთლიანობაში ახალგაზრდებმა განახორციელეს 500-მდე პროექტი და დაეხმარნენ 40,000-ზე მეტ ადამიანს საქართველოს მასშტაბით.

2022 წელს მოხალისეობის საერთაშორისო დღის მთავარი თემა გახლდათ „სოლიდარობა მოხალისეობის მეშვეობით“. კამპანია ხაზს უსვამს კოლექტიური ჰუმანურობის ძალას, რომელიც მოხალისეობის მეშვეობით აღწევს პოზიტიურ ცვლილებებს. სოლიდარობით გაერთიანებული მოხალისეები ახორციელებენ კონკრეტულ პროექტებს არსებული გამოწვევების დასაძლევად და საზოგადოების საკეთილდღეოდ.

**ნატო მელიქიძე**

## იუბილარი

# მარგო მაისურაძე - სამაგალითო, საამაყო პედაგოგი!



## „მასწავლებელი ცოდნის დედაა, საფეხურებით ცამდე ამსვლელი, მასწავლებელი სკოლის ფუძე და მომავალის სწორად აღმზრდელი“

**დამეთანხმებიან** საზოგადოების წევრები, რომ ერთი, განასაკუთრებული მასწავლებელი ყოველთვის არსებობს ყოფილი მოსწავლის ცხოვრებაში, რომელიც ღირსეულ კვალს ტოვებს მის მეხსიერებაში და დიდ სახებად ჩაიკირება გულში. ბორჯომში, როდესაც პედაგოგებზე ხშირად გვიწევს საუბრები, ერთხმად აღნიშნავენ ერთი გამორჩეული მასწავლებლის სახელსა და გვარს: მარგალიტა მაისურაძე. ვინც ბორჯომის მეორე საშუალო სკოლაში სწავლობდა, ყველას ახსოვს ღირსებით სავსე პედაგოგი. შეუძლებელია განსაზღვრო შენი პიროვნების ჩამოყალიბების გზაზე ვინ ამოგიდგება გვერდში, ვინ გაგიკვალავს მომავლისკენ გზას და ვინ გიბიძგებს სწავლისაკენ. უკან დადევნებული ლამპარივით არის ქალბატონი მარგო, დღესაც თავისი უსაყვარლესი მოსწავლეებისთვის. ფილოლოგი, რომელიც გაზიარებს სკოლის მერხიდანვე იმ სამყაროს, რასაც კითხვის თავგადასავალი ჰქვია. გულმხურვალეა დღესაც მისი მოსწავლეების მოწიწება და თბილი დამოკიდებულება უკვე 95 წლის მიღწეულ პიროვნებისათვის. ჯერ კიდევ, მაშინ ახერხებდა მარგო მასწავლებელი მოსწავლისთვის ყურის აუწევლად, შეურაცხყოფის გარეშე ჰქონოდა მასთან ურთიერთობა, შეგნებამდე დაყვანილი პროფესიონალიზმით ის ბავშვის სულს ძერწავდა სიკეთისაკენ! ადამიანობა და მართალი სინდისი იყო და არის მთავარი ნაწილი მისი პიროვნებისა. ჩვენი გაზეთის რედაქცია არასდროს ივიწყებს ღვაწლმოსილ, დამსახურებულ ადამიანებს და აქვე ვულოცავთ მარგო მასწავლებელს იუბილეს. დაბადებიდან 95 წელი ლამის საუკუნეა და აქედან, თითქმის 60 წელი სკოლაში მოღვაწეობა ხომ ვალმოხდილ გზას ნიშნავს! მართალია, ბორჯომის რეალობაში არც მისი მოსწავლეების, აწ უკვე თანამდედობის პირების მოძიება არ იყო ძნელი, მაგრამ იმდენად ამომწურავად იხსენებენ და ულოცავენ იუბილეს ჩვენი გაზეთის რესპოდენტები, რომ ვფიქრობთ, ეს ყველაზე დიდი, მოულოდნელი საჩუქარი იქნებოდა მარგო მასწავლებლისთვის!

**ივანე შალუტაშვილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი:** - უდიდესი პატივისცემა და მადლიერება მინდა გამოვხატო ჭეშმარიტად ღირსეული და თავისი საქმის უბადლო მცოდნის, ყველასათვის პატივსაცემი ბორჯომელი პედაგოგის, ქალბატონი მარგო (მარგალიტა) მაისურაძის მიმართ. დაახლოებით ექვს ათეულ წელზე მეტია, რაც იგი ერთგულად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, ყოფილ №2 საშუალო სკოლაში. უამრავმა თაობებმა გაიარა მის ხელში (მათ შორის ვარ მეც) და დღეს უკვე, მისი აღზრდილი, ყოფილი მოსწავლეები, სხვადასხვა სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან. მისი ყოველი გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში მართლაც, რომ წარუშლელ შთაბეჭდილებებს ტოვებდა ჩემზე. სწორედ, რომ მისი დამსახურებით ვეზიარე მრავალი ქართველი კლასიკოსის შემოქმედებას, რამაც განუზომელი კვალი დატოვა ჩემს ცნობიერებაში და მნიშვნელოვნად განაპირობა ჩემი მომავალი პროფესიის არჩევა. ერთნაირად მკაცრი და მომთხოვნი, პრინციპული და თავმდაბალი, რაც ყველაზე მთავარია, საოცარი ღირსებით სავსე. ასეთად დარჩა და დარჩება მარგო მასწავლებელი ჩემს ბავშვურ მეხსიერებაში. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მივულოცო მას საიუბილეო თარიღი, დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოვხატო, ვუსურვო ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და მივმართო მას, რომ იგი ჩემთვის გახლავთ ჭეშმარიტი ეტალონი მასწავლებლისა. ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგთენებოდე, მარგო მასწავლებელო!

**თამარ კაჭკაჭიშვილი, ყოფილი მოსწავლე:** - როცა მეორე სკოლაში გადავედი, მარგო მასწავლებლის სადამრიგებლო კლასში აღმოვჩნდი. მარგო მასწავლებელი გარდა იმისა, რომ სასწაული პედაგოგია, ვისი დამსახურებითაც შევიყვარე ქართული ენა და ლიტერატურა, ამას გარდა, საოცარი მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. უამრავ ადამიანურ თვისებებს გვილვიძებდა და ბევრ საინტერესოს გვასწავლიდა, უაღრესად თბილი და სათნო იყო ბავშვებთან. დიდი სიყვარულით ვიხსენებ ყოველთვის. მინდა ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ვუსურვო ჩემს საყვარელ მასწავლებელს.

**რედაქციის მინაწერი: ბედნიერია თქვენი მოსწავლეები, რომლებმაც თქვენდამი სიყვარული დღემდე გულმხურვალედ ატარეს. დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ ღირსებით სავსე მარგო მასწავლებელ, მრავალ ახალ წელს დაესწარით.**

**ვალმოხდილი ბრძანდებით აღსაზრდელების, მშობლიური ბორჯომის და სრულიად საქართველოს წინაშე. თქვენი დონის პედაგოგები დღესაც სანთლით საძებნია. არადა, რა დიდი ძალაა ქვეყნის ხვალინდელი დღისთვის ახალგაზრდების გონებაში და სულში დანთებული თქვენეული ცოდნის ლამპარი.**

**მონიკა ქანთურია.**

# ვულოცავთ!



**მარგო მასწავლებელი ყოველთვის მოწესრიგებული, ელეგანტური. მთელი თავისი მრწამსით, პედაგოგის პროფესიას არა თუ მარტო უერთგულა, არამედ საზოგადოების აზროვნებაში შექმნა მასწავლებლის ზოგადო ხატი.**

## „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“

**ამ ლექსის სტრიქონები მიესადაგება მის ცხოვრებას და სკოლაში მოღვაწეობას. ის თითქმის 60 წელი ემსახურა მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდას. დრო კი არ მიდის, მიფრინავს. მარგო მასწავლებელი მეათე ათწლეულს მიუახლოვდა. 28 დეკემბერს 95 წელი შეუსრულდა. ბორჯომის ყოფილი მეორე სკოლის პედაგოგები დიდი პატივისცემით და სიყვარულით ვულოცავთ ქალბატონ მარგო მაისურაძეს საიუბილეო თარიღს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, ღვთის წყალობას და დიდხანს სიცოცხლეს. არ მოკლებოდეს ყოფილი მოსწავლეების და კოლეგების სიყვარული და პატივისცემა.**

**ბორჯომის მეორე საჯარო სკოლის პედაგოგები.**

## ნოველა

# მოლოდინი



**ბაკურიანიდან** კოხტაგორასკენ გზას თუ გააგრძელებ, საბაგიროს რომ გასცდები და დაბლა დაეშვები, ხუთ კილომეტრში თვალწინ გადაგეშლება ქვაბული, ირგვლივ შემოჯარული გოროზი მთებით და მთის კალთებზე შეფენილი ძელური სახლებით. - ეს მიტარბია, სოფელი, ზამთარ-ზაფხულ მოძალებული დამსვენებლებით, ახლა კი, ჩამკვდარი და უსიცოცხლო.

სოფელი ქართველებით და ოსებით იყო დასახლებული, მაგრამ მაშინ ვინ არჩევდა ეროვნებას? ყველა ქართულად ლაპარაკობდა, ერთმანეთთან ნათესავ-მეზობლობდნენ და ერთად ეწეოდნენ მთის სოფლის მძიმე ჭაპანს.

ტარიელი მიტარბში დაიბადა, ქართულ ოჯახში. იმ ღამით ისეთი თოვლი მოვიდა, რომ დედამისი ბაკურიანის სამშობიაროში ვერ გადაიყვანეს, მშობიარობა დაუგვიანდა. ადგილობრივმა ბებიაქალმა ამშობიარა. ბავშვი გადარჩა, მაგრამ დედა დაიღუპა. ერთი კვირით ადრე, ოსურ ოჯახში, მეზობლის გოგოს - ლიზას შეეძინა შვილი, ვალოდია დაარქვეს. ობოლ ტარიელს თავისი რძით კვებავდა, შვილივით გაზარდა. მზრუნველობას არც მომდევნო წლებში აკლებდა. ტარიელი და ვალოდია ხომ სულ ერთად იზრდებოდნენ, უერთმანეთოდ ლუკმას არ შეჭამდნენ. ტარიელს, მამისა და ლიზას ოჯახის მეტი არავინ ჰყავდა. საღამოობით მათთან გადადიოდა და ელოდებოდა, როდის შეიკრიბებოდა მთელი ოჯახი. შემოუსხდებოდნენ მაგიდას და ყვებოდნენ იმ დღის ამბებს. ლიზა დეიდა სუფრას გაშლიდა. ტარიელს უყვარდა ლიზა დეიდას გამომცხვარი კარტოფილიანი ხაჭაპური, მარტო ეგ კი არა, ოჯახში ყველაფერი უყვარდა - ვალოდია უყვარდა - თავისი ძუძუმტე, მისი მამა - ძია ხეთაგა, ორი წლით უმცროსი ძმა უყვარდა კიდევ ვალოდიასი - კოსტა, ლიზა დეიდა ხომ უყვარდა და უყვარდა. კიდევ, სახლი უყვარდა მათი - ძელური, ჭერში გადებული ხის ძელით, ზედ დაკიდებული ნაჭრის ჭაღი, თავის თავს ძლივს რომ ანათებდა, კუთხეში მდგარი შეშის ღუმელი უყვარდა, ზაფხულში მდუმარე, ზამთარში რომ იწყებდა ტკაცატკუცს. თაროზე შემოდგმული ნავთის ლამფა უყვარდა, ზედ ჩამოცმული მიმწვარი ქაღალდის აბაჟურით...

ასე ტკბილად გადიოდა დრო. ზაფხულს ზამთარი ცვლიდა, ზამთარს - ზაფხული, მაგრამ მერე, წვერიანმა არაფორმალებმა დაიწყეს მალ-მალე ამოსვლა. რამდენიმე ოსურ ოჯახში ავტომატიანები შეცვივდნენ და დაარბიეს. ხალხი დაშინდა, სამხედრო ფორმიანების დანახვაზე ტყეში იმალებოდნენ.

არაფორმალებმა სოფელში კარავი დასცეს. საველე მეთაურად თბილისელი პატრიოტი - ბატონი ლეო აირჩიეს, არეულობამდე ყველა რომ ჩაგრავდა და სიმხდალის გამო კურდღელა რომ ჰქონდა მეტსახელი, მაგრამ სადღაც ავტომატი იშოვა და მის დანახვაზე ხალხს შიში რომ შეატყო, - რა კარგი ყოფილა ძალაუფლებაო! - წლობით ნაგროვები უსუსურობისგან გამოწვეული ბოღმა, მიტარბელ ოსებს დაატეხა თავს.

ნელ-ნელა აიბარგნენ ოსური ოჯახები მიტარბიდან. ზოგი ვლადიკავკაზში გადავიდა, ზოგიც ცხინვალში. ტარიელმა თავის სახლში გადმოიყვანა ძია ხეთაგას ოჯახი, მაგრამ სოფელში ოსები რომ აღარ დარჩნენ, არაფორმალები ახლა ქართველებს მიადგნენ. - ოსებთან რატომ ცხოვრობდითო, რატომ მეზობლობთო, ბებია ოსი რატომ გყავდაო! ზოგს თითიდან გამოწოვილი მიზეზით ჩაგრავდნენ. მერე ქართულ ოჯახებს აწიოკებდნენ. აიბარგნენ ქართველებიც, ზოგი თბილისში გადასახლდა, ზოგიც ბორჯომში. ხეთაგა, თავისი ოჯახით, ვლადიკავკაზში გადავიდა, ტარიელი და მამამისი თბილისში გადმოვიდნენ. დაიცალა მიტარბი, სოფლის ადგილზე ნასოფლარი დარჩა.

გავიდა წლები, კალაპოტში ჩადგა ცხოვრება. დაუბრუნდა ტარიელი მამა-პაპის სახლ-კარს. ძია ხეთაგას სახლის სახურავი შეაკეთა და სახლი გამოკეტა იმ იმედით, იქნებ მოუნდეთ თავიანთ ნასახლარზე დაბრუნებაო. საღამოს, ცოლ-შვილი რომ დაიძინებს, ტარიელი ძია ხეთაგას სახლში გადადის, დაჯდება მაგიდასთან და ელოდება, როდის შეიკრიბება მთელი ოჯახი. ისევ ძველებურად უყვარს ძელური სახლი, ჭერში გადებული ხის ძელით, ზედ დაკიდებული ნაჭრის ჭაღი, თავის თავს ძლივს რომ ანათებს, კუთხეში მდგარი შეშის ღუმელი უყვარს, ზაფხულში მდუმარე, ზამთარში რომ იწყებს ტკაცატკუცს. თაროზე შემოდგმული ნავთის ლამფა უყვარს, ზედ ჩამოცმული მიმწვარი ქაღალდის აბაჟურით. ვალოდია უყვარს - თავისი ძუძუმტე, მისი მამა - ძია ხეთაგა, ორი წლით უმცროსი ძმა უყვარს კიდევ ვალოდიასი - კოსტა, ლიზა დეიდა ხომ უყვარს და უყვარს...

ძნელია ლოდინი... მაგრამ იმედი აქვს, იქნებ მობრუნდნენ, ერთად იცხოვრონ, კვლავ ააღორძინონ მიტოვებული სოფელი. იმედი ხომ ყველაზე ბოლოს კვდება...

**არდაშელ თაქთირიძე**

# გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!



**ჩემო ძვირფასო ბორჯომელებო, გულითადად მინდა მოგილოცოთ დამდეგი 2023 წელი. მშვიდობის, ხვავის, ბარაქისა და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს ეს წელი თქვენთვის, თქვენი ოჯახებისთვის და სრულიად საქართველოსთვის.**

**წარმატებულ, ნაყოფიერ და ბედნიერებით სავსე წელს გისურვებთ. თითოეული განვლილი წელი ჩვენი დიდი გამოცდილების ნიშანია. რამდენიმე დღეში შემოაბიჯებს ახალი წელი და ჩვენ, ახალი იმედებითა და კეთილი სურვილებით უნდა შევეგებოთ. მრავალჟამიერ, იხაროს და იბედნიეროს ჩვენმა ქვეყანამ.**

**გაიოზ დვალიშვილი.**

**ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი.**



**ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზი ულოცავს ბორჯომელებს ახალი 2023 წელს, უსურვებს ჯანმრთელობას, მშვიდობას, წინსვლასა და წარმატებებს ჩვენი ქვეყნის და ბორჯომის საკეთილდღეოდ.**

**დაე, ყველას ოჯახში ბედნიერებამ და სიხარულმა დაისადგუროს.**

**ზაურ ლაზარაშვილი**

# საქმიანი შეხვედრა პარლამენტართან

**დეკემბერს** პარლამენტარი **ანტონ ობოლაშვილი** ბორჯომში შეხვდა ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. შეხვედრაზე გაიმართა მეტად გულახდილი დიალოგი იმ პრობლემებზე, რომლებიც თვალნათლივ შეინიშნება ბორჯომის მუნიციპალიტეტში. პარლამენტარის წინაშე ყურადღება



გამახვილდა ქალაქში გადაუწყვეტელ ისეთ პროლემებზე, როგორიცაა მძიმეწონიანი მანქანების მომრავლება და გადაადგილება ბორჯომის ვიწრო ხეობაში, რაც სერიოზულად აზიანებს როგორც გზას, ისე ეკოლოგიას. კვლავ გადაუწყვეტელია მსუბუქი მანქანების პარკინგის, გარევაჭრობის, სამშენებლო ობიექტების უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების, უმეთვალყუროდ მოხეტიალე ძაღლების, მოუწესრიგებელი რკინიგზის, ბორჯომსა და ბაკურიანში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების არ არსებობის, მტკვრის ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობის, ისტორიული ძეგლების გაჭიანურებული რესტავრაციის და სხვა აქტუალურ საკითხებზე. დღემდე მუნიციპალიტეტის 7 სოფლის მოსახლეობა ბუნებრივი გაზის გარეშეა დარჩენილი, ბევრ სოფელში ჭიანურდება სასმელი წყლის პრობლემების გადაწყვეტა და სხვა.

ბატონმა ანტონ ობოლაშვილმა ყურადღებით მოისმინა საზოგადოების წარმომადგენლების შენიშვნები და მრავალი შენიშვნის მიმართ მხარდაჭერაც აღგვითქვა. გულახდილად განაცხადა, - ნამდვილად შეძრწუნებული ვარ მძიმეწონიანი მანქანების ტრანსპორტირებით, მაგრამ ეს პროცესი არ გადაწყდება, მანამ, სანამ არ დამთავრდება რიკოთის უღელტეხილის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, თუმცა სამომავლოდ უნდა ვიზრუნოთ ბორჯომის ხეობაში სარეზერვო გზის მშენებლობისათვის.

პარლამენტარმა შეხვედრის მონაწილეებს აცნობა, რომ მომავალი წლიდან დაიწყება ჭობისხევის, ჩითახევის, დვირის და ქვაბისხევის მოსახლეობის გაზიფიცირების სამუშაოები, რაც ნამდვილად დიდი შეღავათი იქნება ამ მაღალმთიანი სოფლებისათვის. მომდევნო წელს გაგრძელდება დანარჩენი სოფლების გაზიფიცირება.

დამსწრე საზოგადოებისათვის სასიამოვნო მოსასმენი იყო დეპუტატის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბევრს ზრუნავს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გაზრდისათვის და ეს პირველ რიგში უნდა მოხდეს მინერალური წყლის წიაღისეულის გადასახადის გაზრდის გაზრდის ხარჯზე. ბუნებრივია, თუ გაიზარდა ჩამოსხმული მინწყლის ღირებულება, წიაღისეულის ფასიც უნდა გაიზარდოს. ეს კი მნიშვნელოვანი შემოსავალი იქნება ბიუჯეტისათვის.

შეხვედრას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი**, რომელმაც საფუძვლიანი ანალიზი გააკეთა არსებული პრობლემებისადმი და ხაზი გაუსვა მათი გადაწყვეტის გზების ძიების აუცილებლობას. კატეგორიულად ითქვა 30 წლის წინათ, მუნიციპალიტეტში გაყიდული ობიექტების მეპატრონეთა პასუხისმგებლობის ამაღლების თაობაზე, რომლებიც არაფერს აკეთებენ შეძენილი ობიექტების ამოქმედებისათვის, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის ქალაქის განაშენიანება-განახლებას.

შეხვედრა დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობდა და მკაფიოდ გამოიკვეთა საერთო აზრი, მსგავსი შეხვედრები მომავალშიც გაიმართოს. **პარლამენტარმა დადებითად შეაფასა ქალაქის საზოგადოების წარმომადგენელთა აქტიურობა ქალაქში არსებული პრობლემების გადაწყვეტაში და წარმატებები უსურვა სამომავლო საქმიანობაში. ბატონ ანტონ ობოლაშვილს საზოგადოების წევრებმა მადლობა გადაუხადეს ქალაქში არსებული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში დაინტერესებისათვის.**

**ვალერიან ლომიძე**

---

## წიგნის თარო

# ასე შენდებოდა ბორჯომი

**ახალწლის** წინა დღეებში მზის სინათლე იხილა საქართველოს არქიტექტორთა და ურბანული კავშირის წევრის, არქიტექტორ-ქალაქმშენებლის დამსახურებული სპეციალისტის ქალბატონ **მარიკა გელაშვილის** შესანიშნავმა წიგნმა, რომლის სათაურია **„ასე შენდებოდა ბორჯომი“**. ეს წიგნი მეორე გამოცემაა, რომელიც პირველისგან განსხვავებით ახალი ისტორიული მასალებით შეივსო გაუმჯობესებული დიზაინით და ახალი ობიექტებით შესთავაზა წიგნიერ ბორჯომელებს, (პირველი წიგნი 2013 წელს გამოიცა).




ახალ გამოცემაში დაწვრილებითაა მოთხრობილი ბორჯომის ისტორია, ვინ როდის, როგორ აშენებდა ბორჯომს, რომელი ობიექტებია შემორჩენილი დღმდე და ან რომელი ახალი შენობა შეემატა მშობლიურ ქალაქს განვლილ 30 წლის მანძილზე, - საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში.

ავტორმა მშობლიური ქალაქის ისტორია კიდევ ერთხელ სიყვარულით გაიხსენა და ახალი გამოცემით ბორჯომელებს მოუწოდა გაუფრთხილდნენ, შეიყვარონ მშობლიური ქალაქი, ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე იზრუნოს კიდევ უფრო ლამაზი ქალაქისათვის.

ხაზგასმითაა აღწერილი ბორჯომის ხეობის ბუნების მომაჯადოებელი სილამაზე, ახლა მეტად მნიშვნელოვანია, როგორ მოვუფრთხილდებით ბუნებას, როგორი ხარისხით ავაშენებთ ახალ ობიექტებს, როგორ დავიცავთ ისტორიულ და კულტურული მნიშვნელობის ობიექტებს. ავტორი იმედს გამოთქვამს, XXI საუკუნეში ნიჭიერი არქიტექტორები და ინჟინერ-მშენებლები შემოქმედებითად იღვაწებენ „საქარველოს სამეფო გვირგვინის“ (ასე უწოდებდა თამარ მეფე ბორჯომის ხეობას) აღმშენებლობისათვის.

ბუნებრივია, თუ შენი საქმე ან ის ქალაქი თუ სოფელი არ გიყვარს, სადაც ცხოვრობ კარგ წიგნს ან საგაზეთო წერილს ვერ დაწერ. ავტორს ბორჯომის სიყვარულში ბევრი ვერ შეეჯიბრება, ამიტომაც წერს, - „ყველამ თუ არა, უმრავლესობამ იცის მშობლიური ქალაქის ისტორია, მე მხოლოდ ჩვენი ხეობის აღმშენებლობის ისტორია შემოგთავაზეთ, მინდა მოგიყვეთ, თუ როგორ შენდებოდა ბორჯომი, შენობები, გზები, რკინიგზა, უბნები, ქარხნები, ხიდები, სანაპიროები, როგორ უფრთხილდებოდნენ ბუნებას, როგორ მიიღო დღევანდელი სახე ჩვენმა ქალაქმა. მას ბორჯომელთა ყოველდღიური ზრუნვა ესაჭიროება“.

წიგნი - მგზამკვლევი მეტად საინტერესოდ იკითხება და შესანიშნავი ისტორიული სურათებითაა დამშვენებული, რომელთა მოძიებიასთვის ავტორს დიდი შრომა გაუწევია.

ავტორი დიდ მადლობას უხდის ყველას ვინც წიგნის გამოცემის საქმეში მიაწოდა ფოტო, ფაქტობრივი მასალები ოჯახური ალბომიდან და წინაპართა მონათხრობი ეპიზოდები.

**ვალერიან ლომიძე**

---

# ჩემთვის მოსწავლე ქვეყნის ნათელი მომავალია

**თამუნა დემეტრაშვილმა ბავშვობიდან იცოდა, რომ ინგლისური ენის მასწავლებელი გახდებოდა. თბილისის №172-ე საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა, 2014 წლიდან დღემდე კი ახალდაბის საჯარო სკოლაში ინგლისური ენის პედაგოგია, მესამე შვილის ბედნიერების მოლოდინით.**

- სკოლაში ძალიან მიყვარდა ინგლისური ენის გაკვეთილები, მიზანი დავისახე, რომ აუცილებლად ინგლისური ენის ფაკულტეტზე ჩამებარებინა. სტუდენტობიდან დავიწყე მოსწავლეების მომზადება და სწავლის დასრულების შემდეგ, საბედნიეროდ გამოჩნდა ვაკანტური ადგილი ახალდაბის საჯარო სკოლაში ინგლისური ენის პედაგოგის პოზიციაზე. ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა საკუთარი ცოდნის სხვისთვის გადაცემა, ბავშვებთან მუშაობა.

**- როგორი მიდგომებით ეუფლებიან ინგლისურ ენას ახალდაბის საჯარო სკოლაში?**

- ყოველთვის ვცდილობ საგაკვეთილო პროცესი იყოს მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთული. ამისათვის ხშირად ვიყენებ თამაშებს, პროექტებს, გაცვლით გაკვეთილებს. პანდემიის პერიოდში ონლაინ გაკვეთილები, რომ მოსაწყენი არ ყოფილიყო, გვქონდა გაცვლითი გაკვეთილები მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანასთან, ბავშვებმა შეძლეს მათი კულტურის, ტრადიციების გაცნობა და რაც მთავარია, საქართველო და ახალდაბა გავაცანით ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა იაპონია, მექსიკა, ბულგარეთი, ინდოეთი.

**- ჩართული ხარ მნიშვნელოვან პროექტებში, მოგვიყევი პროექტების მიზნებსა და ამოცანებზე? რას აძლევს თითოეული პროექტი მოსწავლეებს?**

- უამრავ პროექტში მიმიღია მონაწილეობა. ხშირად ისეც ხდება, რომ ინგლისურ ენას საერთოდ არ ეხება საკითხი, მაგრამ მოსწავლეების განვითარებისათვის და წინსვლისათვის ვახორციელებ მათ. მაგალითად, ეს ეხება მედიაწიგნიერების განვითარებას, ეკოლოგიურ საკითხებს, მეწარმეობას. ამ ეტაპზე ვარ ტრენერი არაფორმალური განათლების გაძლიერება-განვითარების კუთხით განხორციელებულ ტრენინგებში, რომლებიც მიმდინარეობს ახალდაბაში მედიაკაფე „lutrezi“-ში. აღსანიშნავია, რომ ახალდაბის საჯარო სკოლა არის ევროსაბჭოს სასკოლო ქსელის წევრი.

თითოეული პროექტი მოსწავლეებში ავითარებს ისეთ უნარებს როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა. არაფორმალური განათლება ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეების განვითარებისთვის, სწორედ ამ კუთხით ვცდილობ მათ მივცე საგაკვეთილო პროცესის მიღმა კიდევ უფრო მეტი მოტივაცია სწავლისთვის.

**- როგორია საკლასო ოთახში ჩატარებული წარმატებული გაკვეთილი?**

- მოსწავლის ინტერესებსა და მოლოდინებზე მორგებული მრავალფეროვანი გაკვეთილი ნამდვილად არის წარმატებული.

**- მოსწავლეების ყველაზე დიდი ემოცია თამუნა მასწავლებლისადმი?**

- მე ვგრძნობ ჩემი ბავშვების სიყვარულს ჩემ მიმართ. ეს არის უდიდესი ბედნიერება ჩემთვის.

**- რას ისურვებდი დღეს, როგორც ახალგაზრდა მასწავლებელი საგანმანათლებლო სფეროში?**

- ამ ეტაპზე ვისურვებდი, რომ ჩემს მოსწავლეებს ჰქონდეთ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომფორტული სასკოლო გარემო, სადაც ისინი შეძლებენ მეტი მოტივაციით დაეუფლონ სხვადასხვა საკითხს.



**- რას ნიშნავს შენთვის მოსწავლე?**

- ჩემთვის მოსწავლე ქვეყნის ნათელი მომავალია. საკუთარი საქმისა და მოსწავლეების სიყვარული არის ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი.

**- დღეს ინგლისური ენის შესწავლა, იმაზე მოთხოვნადია, ვიდრე გასულ წლებში იყო, გვითხარი რამდენიმე რჩევა როგორ შეიძლება დაეუფლო ინგლისურ ენას მარტივად? გადალახო ენის ბარიერები და დაიწყო საუბარი?**

- მთავარი მონდომებაა და სურვილი ისწავლო. მე ყოველთვის ამას ვასწავლი ჩემს მოსწავლეებს.

**- აქტიური, შემოქმედებითი მასწავლებლის ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეა, როგორია მესამე შვილის მოლოდინი? ის პატრიარქის ნათლული იქნება...**

- შვილი ღვთის საჩუქარია. ჩვენი ოჯახის მოლოდინი არის ბედნიერებით და სიყვარულით სავსე.

**- და ბოლო შეკითხვა, როგორ ხვდება თქვენი ოჯახი ახალ წელს?**

- ახალი წელი არის ჩემი შვილების გაბრწყინებული თვალები. როცა ისინი ბედნიერები არიან, ჩემს სახლში ყოველი დღე დღესასწაულია. ვისურვებდი, რომ ყველა ბავშვის სურვილი ახდეს ამ ახალ წელს.

**იზა იანვარაშვილი**

---

## ინტელექტუალური თამაშის რა? სად? როდის?

# გამოვლინდნენ გამარჯვებულები

**ბორჯომის საჯარო სკოლებს შორის ინტელექტუალური თამაშის რა? სად? როდის? შემოდგომა-ზამთრის სეზონი დასრულდა.**

გამარჯვებული №1 საჯარო სკოლის გუნდი „ალტე“ გახდა. სეზონის საუკეთესო მოაზროვნის ტიტული კი ამავე გუნდის წევრმა **ლუკა არსანიძემ** მოიპოვა, რომელსაც მაღაზია „ბარდასის“ მფლობელმა **დავით ბარდაძემ** სიმბოლური საჩუქარი გადასცა. მეორე და მესამე ადგილი №4 საჯარო სკოლის გუნდმა „მეოთხე“ და №1 საჯარო სკოლის გუნდმა „არგონავტები“ გაინაწილეს.



გამარჯვებულები გარდამავალი ბუს ქანდაკებით, სიგელებითა და წიგნებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა დააჯილდოვა. საპატიო** სიგელები გადაეცა ფინალში მოთამაშე ყველა გუნდის წევრს.

ინტელექტუალურ თამაშებს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **მაკა მანჯავიძე,** საკრებულოს დეპუტატი **ხათუნა ხარაზიშვილი** და ბიუროს წარმომადგენელი **შოთა ბერიძე** ესწრებოდნენ.

ინტელექტუალური თამაშის ორგანიზატორია ბორჯომის მუნიციპალიტეტი, საბიბლიოთეკო გაერთიანება და ბორჯომის ინტელექტკლუბი. ბორჯომში **რა? სად? როდის? -** ის უცვლელი წამყვანი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ბორჯომის ინტელექტკლუბის ხელმძღვანელი **გიორგი ფერაძეა.**

ინტელექტუალურ თამაშებს მთელი სეზონის განმავლობაში ტრადიციულად №3 საჯარო სკოლამ უმასპინძლა. ბორჯომში „მეგატექნიკის“ მფლობელმა, საკრებულოს დეპუტატმა **დავით შონიამ** სკოლას რამდენიმეწლიანი თანამშრომლობისთვის სიმბოლური საჩუქარი გადასცა.



# გილოცავთ!

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ქობისხევის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის მრევლი სულითა და გულით ულოცავს თავის საყვარელ მოძღვარს, - **დეკანოზ ილარიონს** დაბადების დღეს, - 40 წლისთავს, რომელიც 27 დეკემბერს შეუსრულდა და მადლობას უხდის იმ დიდი ღვაწლის, თანადგომისა და გულისხმიერებისათვის, რომელიც მრევლის თითოეული წევრის მიმართ გამოიჩინა ჭირში თუ ლხინში.

უკვე 12 წელია, რაც მამა ილარიონი მოღვაწეობს ქობისხევის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში და ამ პერიოდის განმავლობაში მუხლჩაუხრელად, დაუზარელად ემსახურება ღმერთს და ხალხს: უამინდობაში, ყინვასა თუ სიცხეში. იგი ხანდახან საკუთარი ჯანმრთელობის ფასადაც კი პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, „სწირავს უსისხლო მსხვერპლს და ზრუნავს თითოეული ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე. ზოგჯერ მისი სიკეთე გვაოცებს: ხშირად საჩუქრებით გვანებივრებს, გვლოცავს; ზოგჯერ კი რჩევა-დარიგებას გვაძლევს, გვმოძღვრავს და გვაზიარებს ქრისტეს სისხლსა და ხორცს.

მიუხედავად დატვირთული ცხოვრებისა, მამა ილარიონი ბორჯომის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაშიც მოღვაწეობს, მრევლის წევრების დაბადების დღეების მილოცვა არ ავიწყდება.

მამა ილარიონ, კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა დაგლოცოთ და მომავალი წელი წარმატების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის, რათა მეტი სასიკეთო საქმე გეკეთებინოთ მრევლიათვის და ქვეყნისათვის.

**სიყვარულით ქობისხევის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის მრევლი.**

# 2022 წლის საუკეთესო სპორტსმენები

**დიმიტრი ხაჩიძე** — რომაული ჭიდაობა;
**თემური ჭკუასელიძე** — რომაული ჭიდაობა;
**ნოდარ რობაქიძე** — პროფესიული კრივი;
**დავით გავა** — ჭადრაკი;
**დავით ნოზაძე** — მძლეოსნობა;
**ლუკა ჩადუნელი** — მძლეოსნობა;
**ვალერი აიწურაძე** — ძიუდო;
**ესმერალდა გობოზოვი** — ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა;
**ალან გობოზოვი**— ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა;
**საბა თვარაძე** — კიკ-ბოქსინგი;
**დავით თედიაშვილი** — სკი-კროსი;
**ბექა ბერძენიშვილი** — სკი-კროსი;
**ლაშა კურტანიძე** — სკი-კროსი;
**ნოდარ კოზანაშვილი** — სამთო-სათხილამურო;
**გიორგი კურტანიძე** — სამთო-სათხილამურო;
**საბა ქუმარიტაშვილი** — საციგაო სპორტი.

# ანსამბლი „ჩოხოსნები“ _ ბორჯომში



ბორჯომში მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში ანსამბლ „ჩოხოსნების“ კონცერტი გაიმართა.

ბორჯომელი მსმენელის წინაშე ფოლკლორული საღამოს ფარგლებში, თბილისის ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი „ჩოხოსნები“, **გიორგი ბუგიანიშვილი** ხელმძღვანელობით წარსდგა.

პატარა მომღერლებმა მრავალფეროვანი რეპერტუარი წარმოადგინეს.

კონცერტის დასასრულს ანსამბლმა მრავალჟამიერი შეასრულა.

# საახალწლო მილოცვა ნინო გოგოლაძეს!



კვირაცხოვლის მადლით გლოცავთ,
თვით უფალმაც დამრთო ნება,
იდღეგრძელეთ, არ მოგაკლდეთ
ჯანმრთელობა, გახარება!
იმ დღეს როგორ დავივიწყებ,
უფალმა რომ გამახარა,
სრულად უცხოს, მადლის ძალამ
ოქროს გული დამანახა!
უზენაესმა გაგხადათ
პედაგოგი და აღმზრდელი,
იმრავლოს ახალ თაობამ,
ბევრი გყავდეთ აღსაზრდელი.
თქვენს მიერ აღზრდილ მოზარდებს,
რომ უყვარხართ, შეგწევთ ძალა,
იმას, რასაც იმსახურებთ,
ბევრიც გსურდეთ ვერ დამალავ.
მე კი გულით გავიხარე,
ის რაც თქვენში დავინახე,
სიკეთე გდევდეთ მეგზურად,
ცუდმა ვერ დაგიგოთ მახე.
თქვენისთანა ჩვენს ქალაქში,
საძებნი არ გახდებოდეს,
სიკეთის და მადლის თესვით
ქვეყანაც გადარჩებოდეს!
უფლით იყოთ დალოცვილი,
ქრისტემ გლოცოთ გოლგოთაზე,
ბორჯომელო პედაგოგო
ჩვენო ნინო გოგოლაძე!!!

**იზო სარქისიანი.**

# ბავშვების ოცნებები ასრულებულიყოს!

ახალი წლის მთავარი სიმბოლო ნაძვის ხე და თოვლის პაპაა. მოსართავი სათამაშოები ბავშვებისთვის ყველაზე მიმზიდველი და განწყობის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ნივთებია. მისი არჩევანი იმდენად მრავალფეროვანი და ფერადია, მოყვარულებისათვის ხშირად მთელი სავაჭრო ობიექტის გატანის სურვილითაც შემოიფარგლება.

და მაინც ბავშვების ყველაზე დიდ სიხარულს ოჯახებში ნაძვის ხის მასშტაბურობა და მისი მორთულობა იწვევს, ფასებიც შესაბამისად, ნაძვის ხის ზომის მიხედვით იზრდება. მე, ამჯერად მხოლოდ ერთს ვისურვებდი; ბავშვებს, რომლებიც ასეთი ნაძვის ხის შეძენაზე ოცნებობენ, ასრულებოდეთ. მათ სიხარულს საზღვარი არ ექნება, მათი ანთებული თვალების დავიწყება შეუძლებელი იქნება.

ბავშვებს ბავშვური ოცნებები არასრულებოდეთ.

ნაძვის ხის ლეგენდაც ხომ სიცოცხლის დაბადებას, ახლის დასაწყისს უკავშირდება.

ასე, ლეგენდის მიხედვით იესო, რომ დაიბადა, ყველა ხე მივიდა მასთან და დაბადების დღე მიულოცა.

ნაძვის ხე კი იდგა და არ იძვროდა, ჩუმად ტიროდა.

*- რატომ არ მიდიხარ იესოსთან მისალოცად? - ჰკითხეს ხეებმა.*

- მე რომ ჩხვლეტია წიწვები მაქვს მეშინია ყრმას რაიმე არ ვატკინო, - უპასუხა ნაძვის ხემ.

*- რა კეთილი ყოფილხარ აღფრთოვანდნენ ხეები.*

*გადმოცემის თანახმად: ამის გამო ღმერთმა დაასაჩუქრა ნაძვი. მისი გირჩები სხვადასხვა ფერად შეღება, მორთო ტკბილეულითა და ფერად-ფერადი სათამაშოებით, ცას ვარსკვლავი მოწყვიტა და გვირგვინად დაადგა. სწორედ ამიტომ ნაძვის ხის წვერზე მდგარ ვარსკვლავს „შობის ვარსკვლავი“ უწოდეს, და მას შემდეგ, ნაძვის ხე მუდმივად ირთვება!*



მოამზადა **იზა იანვარაშვილმა**

# როგორ შევხვდეთ კატა-კურდღლის წელს?!



**2023 კატა-კურდღლის (ჩინეთში კურდღლი, აღმოსავლეთში კატა) წელია. ასტროლეგებმა საახალწლო რჩევები უხვად ჩამოგვირიგეს.**

მათი რჩევით მომავალი წელი საუკეთესოა დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად. საახალწლო სუფრა შეგვიძლია მრავალფეროვანი გვქონდეს, მხოლოდ კურდღლის ხორცს ნუ გავეკარებით. დანარჩენი რაც გნებავთ - მამაპაპური კერძები იქნება, თუ ეგზოტიკური, ყველაფერი ნებადართულია...

კატა-კურდღლის წელს ძირითადი ფერი ლურჯია. ნაძვი შეგვიძლია ძირითადად ამ ფერში მოვრთოთ.

კარგი იქნება თუ ნაძვის გვერდით დავდგამთ ჩიჩილაკს და მანდარინის ტოტს.

2023 წელს წყლის სტიქია მართავს. წყალი ფინანსების სტიქიაა. შეგვიძლია საახალწლო სუფრაზე დავდგათ კატის ან კურდღლის ფორმის ყულაბა. იანვრიდან შემოდის კატა-კურ-დღლის წელი.

ასტროლოგები გვაიმედებენ, რომ მშვიდი წელი გვექნება. ვეფხვის წელიწადი ყოველთვის მძიმე და საომარია. კატა-კურდღე-ლი ამოსუნთქვის და დასვენების საშუალებას მოგვცემს. შემდეგ დრაკონი მოდის, რომელიც არ- ანაკლებ შემტევია, ვიდრე ვეფხვი...

ომი გაგრძელდება, მაგრამ ომის ფორმა ტრანსფორმირდება და მაისისკენ დიპლომატიური გზით მოგვარების შესაძლებლობები იქნება გამოყენებული. ზამთარი ბევრ საკითხს გადაწყვეტს.

კატა ინტუიციური ნიშანია. ადამიანებში ინტუიცია მოიმატებს, მოიმატებს დიპლომატიურობა, თავისუფლების შეგრძნება და დამოუკიდებლად მოქმედების პრინციპები.

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ეს წელი გამრავლების წლად ითვლება და თუ ამას გავითვალისწინებთ ჩვენნაირი მცირე ერი მართლაც მნიშვნელოვანი იქნება.

„კუჩხი-ბედინერის“ ფრთიანი ფრაზისა არ იყოს, „ახლა მთლად ჩემი ფეხის იმედად ნუ იქნებიო“!, რა თქმა უნდა, ჩვენ თუ არ ვიმოქმედეთ გონება არ დავძაბეთ, მხოლოდ ვარსკვლავები და სურვილების ჩაფიქრება ვერაფერს გვიშველის. თუმცა ამ რჩევების გათვალისწინება ზიანს ნადვილად არ მოგვიტანს. მშვიდობა, ჯანმრთელობა და ბედნიერება მოეტანოს, დამდეგ შობა-ახალ წელს თითოეული ჩვენგანის ოჯახებში.

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებულთათვის 2023 წლის 3 იანვრიდან 6 იანვრის ჩათვლით დღეები უქმე დღეებად განისაზღვრა**

**გაზეთ „ბორჯომის“ შემდეგი ნომერი გამოვა 12 იანვარს**

# დათო პეტროსიანის მონატრება



23 წლის იქნებოდი ახლა, ჩვენო დათო! ცხრა წელია ჩვენთან აღარ ხარ, ვერ მოვასწარით იმის ნახვა, როგორ გაიზრდებოდი და დავაჟკაცდებოდი, ასე ინება განგებამ და ამ საშინელ დარდს და მონატრებას ვატარებთ სულ. მოუნელებელია ეს ტკივილი და არც არასდროს განელდება, ვიცით, დრო ვერ გვიშველის. დარდს სულ ოდნავ გვიმსუბუქებს ლოცვა, რომელიც არასოდეს მოაკლდება შენს სულს, გპირდებით! ღმერთს ებარებოდეს შენი სული, ჩვენო პატარა ბიჭო!

**დედა, ბებია, ბაბუა**

# ვოვა ბაბიაშვილის გახსენება



წელს უკვე მეორედ ვხვდებით უშენოდ შენ დაბადების დღეს ჩემო მონატრებულო ვოვა, საუკეთესო შვილო, ძმავ და მამავ. უსაზღვროა ჩვენი მონატრება და ტკივილი. ნათქვამია, უფალსაც კარგი სჭირდებაო და შენც მასთან ხარ. 28 დეკემბერს ხომ 62 წელი შეგისრულდებოდა, რომელსაც სამწუხაროდ, უკვე მეორედ შენ გარეშე, შენ ფოტოსურათთან მოგილოცავთ.

მსუბუქი ყოფილიყოს შენ გულზე დაყრილი მშობლიური ბორჯომის მიწა.

**დედა ნათელა გაგლოშვილი, ძმა კობა ბაბიაშვილი, შვილები ნათია, დათო ბაბიაშვილები და შვილიშვილები.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57.
borjomi@inbox.ru
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე